

აპყვე ვარდისფერ საფეხურებს და აპყვე ისე,  
რომ შენს წინ სხივზე ლანდალ იდგეს ყრმა დიონისე;  
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება;  
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება;  
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე...  
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

თავისი უკანასკნელი დრამით, „ბაკხი ქალებით“. უკანასკნელშია დიდმა ბერძენმა ტრაგიკოსმა თითქოს შეკრა ატიკური ტრაგედიის ორნახევარსაუკუნოვანი ისტორიის რკალი. ევრიპიდემ დაასრულა იმით, რითაც დაიწყო ეს უნიკალური ენარი მსოფლიო მწერლობაში — დიონისური ვენებებით. ამ დრამაში დიონისე დაუბრუნდა მის მიერვე შთაგონებულ ტრაგედიას თავისი პირვანდელი, უნიღბო სახით; იგი დაუბრუნდა თავის სცენას, „დიონისეს თეატრს“ — როგორც იწოდებოდა ადგილობრივი თეატრი ათენში — იმ ორქესტრას, რომლის შუაგულში აღმართული იყო მისი საცერთხეველი და რომლის შორიახლოს, ამფითეატრის პირველ რიგში, იდგა მისი ქურუმისთვის განკუთვნილი ტახტი, ზედ ამოკვეთილი წარწერით — „მხსნელი დიონისეს ქურუმი“. ამავე ორქესტრაზე „ბაკხ ქალებში“ ჩვენ ვხედავთ და ვუსმენთ მენადების გუნდს. რომელიც მუდამ თან ახლდა ელადის სოფელ-სოფელ მოართულ დიონისეს. აქაც ეს გუნდი თან ახლავს თავის წინამძღოლს და მისი უპირველესი საქმეა ყრმა ღმერთის განდიდება ან მისი გალვიძება, დაუცადებელი ხმობა მისი, თუ იგი შორსაა — რადგან რანი არიან უდიონისოდ მისი მენადები?

„ბაკხი ქალები“ ერთადერთი ნამდვილ-დიონისური დრამაა — ტ რ ა გ ე დ ი ა ს დ ე დ ა ნ ი — ჩვენამდე მოღწეულ ატიკურ დრამათა შორის. გადმოცემის თანახმად, დრამატული ხელოვნებია ვუძემდებელს, თესპისს, დაუწერია ტრაგედია „პენტეუსი“, რომლის

მხოლოდ სახელია შემორჩა; ასევე არ შემონახულა ესტილეს ტრადიციული იმავე სახელწოდებისა. „ბაჭი ქალების“ მთავარი გმირიც პენთევისა, თებეს ჭაბუკი მეფე, რომელსაც წილად ხვდა ბედი თრაკიის ლეგენდარული მეფის, ლიკურგოსისა, გახელებულ მენადებს რომ დაუღუგეჯიათ დიონისეს დეენის გამო. თუმცა დიონისეს, იგივე ბაქთაის (ბაქხევისს), იგივე ბრომიოსის უარყოფა — თუ შევიტრებით მითოსურ სიღრმეში — არ უნდა ყოფილიყო მაიცი-დამაინც მიზეზი ამ საშინელი აღსასრულის. რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამგვარივე ბედი სწევია ორფევსსაც, თუმცა სწორედ ამ ხმატკბილ მომღერალს დაუწესებია პირველად ელადაში დიონისეს ორგაისტული მისტერიები. არა თუ ორფევისი, არამედ თავად დიონისეც იგლიჯება გახელებული მენადების მიერ, — და ეს არის მისი აუტოდეინელი ბედისწერა, — მაგრამ იგი ღმერთთა და ხელახლა მრთელდება.

მენადებისგან დაგლეჯილი ორფევსი პიერიასში დაუმარხავთ, ხოლო პიერია („პიერიას ენატრობ, პიერიას, სადაც მუზათა მშვიდი საენაეა“ — მღერის მენადების გუნდი ამ ტრაგედიის პირველსავე სტასიმონში), ეს სანატრელი მხარე, მაკედონიაშია, სადაც ევრიპიდემ სიოცოხლის უკანასკნელი ორი წელი გაატარა მეფე არქელაოსის კარზე და სადაც იქაურ მუზათა შთაგონებით დაწერა ეს დრამა. იგი, ძველი კულტურით დამძიმებული და დაღლილი ელინი, ესწრაფოდა მშვიდ ცხოვრებას ბარბაროსული, ჯერ კიდევ „უში ქვეყნის“ ბუნების წიაღში, რომელსაც მოგვიანებით, უკვე გაელონურებულს, ეწვია არისტოტელე დიდი ალექსანდრეს მოძღვრად. მაგრამ მყუდროების გვერდით მას, ალბათ, სხვა რამეც დახვდა მაკედონიაში, რამაც თავისი ასახვა კპოვა იქ დაწერილ ტრაგედიაში.

მაკედონიისთვის ახლობელი იყო დიონისე, შესაძლოა დეიფილიც — მაკედონიისთვის და, განსაკუთრებით, მისი მეზობელი თრაკიისთვის, სადაც შეიქმნა ლიკურგოსის ლეგენდა. პენთევისის ამბავიც თრაკიული მითოსის თებური ვარიანტია. ორგაისტული დიონისე ამ მხარეებიდან მოსულა ელადას, უბსოვარ დროში. თრაკიიდან წამოპყვა ზედწოდებანი — „ბრომიოს“. „დიოთირამბოს“ და სხვ. აქვე პყავდა შემდგომ გაბერძნებულ და დახვეწილ ბარბაროს დიონისეს პირველი მიმდევრები, როგორც პლუტარქე წერს მოგვიანებით: „იქაური (იგულისხმება: მაკედონელი) ქალები ძველთაგანვე მონაწილეობდნენ ორფიკულ მისტერიებსა და დიონისე ღმერთისადმი მიძღვნილ ორგიებში... ოლიმპიიდა, — ახსენებს პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის დედას, — ყველაზე მეტად ყოფილა თურმე ვა-

ტაცებული ასეთი ღვთისმსახურებით. იგი ბარბაროს ქალებს ჰბაძავდა და, როცა ბაკქელ ქალთა გუნდში მიდიოდა, თან მოწინაურებული დიდი გველებიც მიჰყავდა. დედოფლის გველები ხშირად გამოძვრებოდნენ ხოლმე სუროს ფოთლებიდან და სამისტერიო კალათებიდან, მერმე ბაკქელი ქალების სუროთი შემოსილ კვერთხებსა და გვირგვინებს ეხვეოდნენ. ეს სანახაობა იქ მყოფ მამაკაცებს შიშის ზარს ჰკვირიდა“ (რჩეული ბიოგრაფიები: ალექსანდრე მაკედონელი, 2, აკ. ურუშაძის თარგმანი).

როგორ ჰკავს ეს აღწერილობა იმ სურათებს, რომელთაც „ბაქი ქალები“ წარმოგიდგენა, როცა ვკითხულობთ ავაგეზე და სხვა კადმოსიან ასულებზე, რომელნიც — მათთვის საბედისწერო ბაქური ორგიაზმით შეპყრობილნი — ესევიან კთერონის ფერდობებს თმებში ჩაწნული გველებით და სუროხვეული არგნებით (თირსოებით) ხელში, და საღვთო შიშით აცვიფრებენ მახლიაელს, სოფლების მოსახლეობას! თითქოს იმას აღწერდეს გვიანი ბერძენი — და ეს ასეც იქნებოდა, — რისიც თვითმხილველიც უნდა ყოფილიყო ჩვენი ტრაგიკოსი მაკედონიაში ყოფნისას. იგი მართლაც იხილავდა ამ მისტერიებს, — შესაძლოა, პენტეკსივით ჩასაფრებული, — თანაც თავდაპირველი სიციხეხალით შემონახულს, ჯერ კიდევ „უმად“ აპოლონის კულტურისგან განუზავებელს.

„ბაქი ქალები“ მისი მოხუცებულობის დრამაა, ამ სიტყვის ორმაგი გაგებით: სამოცდაათ წელს გადაცილებულმა პოეტმა დაწერა იგი და მასში გააცხადა კიდევ თავისი ცხოვრების დრამაც; „წარბდეს სიბერე“ — თქვა მან ბერი კადმოსის პირით, ასევე მიხრწნილ ტირესიასთან ერთად ბაქურ ორგებში საფერხულოდ რომ ისწრაფოდა; იგი კადმოსიც არის და ტირესიაც, ამ შემთხვევაში. ეს იყო აშკარად ძალთა უკანასკნელი მოკრება ტრაგიკოსისთვის მისი ცხოვრების მიმწებრზე, როცა ამ ძველი ფაბულის განახლებას განაზრახავდა. ამით იგი უბრუნდებოდა ტრაგედიის ჰაბუტურ ხანას და თავის არსებამდე სინჯავდა ჰაბუტურ ძალებს. ჰემმარიტი შემოქმედისთვის მიუკარებელია სიბერე; შემოქმედება მარადჰაბუტურია თავისი არსით, რადგან იგი მუდამ ახლად იბადება სასწაულებრივად. ეს ანბანური ჰემმარიტება ეხმარება დიონისურ ორგიაზმს, იმ ღმერთის საფერხულო ზეიმს, რომელმაც დრამატულ ხელოვნებას მისცა დასაბამი. ერთადერთი ღმერთი, — ამბობს კადმოსი, — დიონისეა, რომელიც ბერიკაცს ჰაბუტისგან არ არჩევს, ოღონდ აღიარე მისი სინამდვილე, იწამე მისი ღმერთობა, ჩაები მის ფერხულში! კადმოსი გრძნობს, რომ დიონისე მისი შვილია, მისი შვილის შვი-

ლი და, ამიტომაც, არ შეუძლია მისეული მაღლის უარყოფა. როგორც იხადება ეს მარადჭაბუკი მისი შვილიშვილი ასულის წყალობით, ასევე იღვიძებს მის ბუნებაში მარადჭაბუკური დერიტა. ეს ისევე ცხადია, როგორც ის ფაქტი, რომ ტრაგედია და ყოველგვარი ხელოვნების ნიმუში დაფლეთილ დიონისესავით ქაოსიდან, თითქმის არარაობიდან, იხადება შემოქმედის გულ-გონებაში. ბაქტურად მოფერხულ კადმოსი, მისანი ტირესია და დრამის მწერალი ტრაგიკოსი ერთნაირი ენთუზიაზმით (ე ნ თ უ ს ი ა ს მ ო ს, ე ნ თ უ ს ი ა ს ი ს — „ღვთიერ-შეპყრობილობა“) არიან შთაგონებულნი.

თუმცა სახელდებით არ ახსენებს, მაგრამ პლატონის ფიქრებში უნდა ყოფილიყო „ბაქი ქალები“, სახელდობრ, მაცნის მონათხრობი მესამე ეპისოდიონიდან, როცა ამგვარ პასაჟს წერდა ფილოსოფოსი ლირიკოს პოეტებზე — პასაჟს, რომელიც არანაყლებ მიესადაგება ტრაგიკულ პოეტსაც: „ღვთიერი სიშმაგით ცნობაშიხილნი და ალტყინებით მროკავი კორიბანტების მსგავსად, ისინიც ცნობაშიხილობის ქაშს ქმნიან თავიანთ მომხიბლავ ლექსებს; როცა მათ ეუფლებათ ჰარმონია და რიტმი, ბაქტურ ექსტაზში დანთქმულნი ბაქანტებოვით ხარბად ეწაფებიან მღინარეებით ნადენ თავლსა და რძეს. მაგრამ ეწაფებიან მხოლოდ ცნობაშიხილნი და არა სიშმაგე-დამხარაღნი და დამშვიდებულნი“ (იონი, ბ. ბრეჯვანი თარგმ.).

იქნებ, დღეს ჩვენს თვალში მაინცღამაინც ღირსეულად და სისახელოდ არ გამოიყურებოდნენ ბაქ ქალთა მსგავსად აკუნტრუშებული და ზორუმებში მროკველი მოხუცებულნი — ტირესია და კადმოსი; შეიძლება, ამგვარი სანახაობა ვერ ეგუებოდეს ჩვენს ესთეტურ გემოვნებას თუ სხვა რიგის თვალსაზრისებს („სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს“, ამბობს ქართველი პოეტი), თუმცა თავად ტრაგიკოსიც უნდა გრძნობდეს ამ შეუსაბამო ვითარებას, როცა ტირესიას ათქმევიენებს (იქნებ თვითირონიით?): „ერთურთს დაეყრდნოთ, აუგა ჩვენი დაცემა, რაკი ბაქოსის სადიდებელ ზემოში მოვალთ“, — მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა ვადმოეცა ტრაგიკოსს დრამატული ხელოვნების საშუალებით განჭაბუკების წამიერი პროცესი „მზის ჩასვლის წინ“ (აქ უნდა გავიხსენოთ პ. პაუტ-მანის ამ სახელწოდების დრამა, სრულიად განსხვავებული კულტურის წიაღში შექმნილი)? ბაქტური ფერხისიას როკვით გასიმბოლიერებულა შინაგანი როკვა განჭაბუკებული გულისა, უკანასკნელი ჭალუმი გულისძგერა ბუნებრივი პირველქმნილობისკენ მიბრუნებისას: თუნდაც ერთხელ სიცოცხლეში შეიმუსროს კულტურისმიერი არტახები, განსკდნენ პირობითობის საკერულნი, განიძარცოს კაცუა

მობეზრებული სამოსელი, იგემოს უმი ზორცი! ესენია დიონისური ცხოვრების თენდაც წამიერის, სიმბოლოები.

თუ კადმოსი და ტირესია მოხუცებულ პოეტს განასახიერებენ ამ დრამაში, ისიც შეიძლება ითქვას, რომ პენტევის ჰაბუკი ევრიპიდეა, ფილოსოფოს ანაქსაგორას მსმენელი და სექპტიკოსი სოფისტების მეგობარი. სწორედ პენტევსზე ითქმის, თუ განვაგრძობთ ქართული პოეტის ზემოთმოყვანილ სტრიქონს: „და საბრალოა, რას ჰაბუკი ბერიკაცობდეს!“ ხოლო პენტევის მართლაც ბერიკაცობს, იგი ჰქუადამყდარი, „ზედმეტად ჰქვიანი“ კაცია და თავისი სულიკვეთებით გაცილებით უხნესი, ვიდრე მისი პაპა ან მისანი ტირესია. ცალმზრივ (ან ზედმეტად) აპოლონური პენტევისი უარყოფს ბაკხოსს ისევე, როგორც ჰაბუკ ევრიპიდეს შეეძლო უარყოფს იმ წარსულ დროს, როცა სალამინში აპოლონის დღესასწაულზე ცეცხლი მიქონდა ხოლმე, ან ნაღვლიანი პეანის ხმაზე ცეკვავდა ათენში დელოსელი აპოლონის პატივსაცემად, ხოლო ბარბაროსი ბაკხოსის ზემოზე როკვა და ხორუმები აპოლონის ღალატად მოეჩვენებოდა. სად აპოლონის მშვიდობიანი დაფნა და სად დიონისეს შმაგურად მზარდი სერო? სად აპოლონის მწყობრი პეანი და სად დიონისეს შმაგურად მდელვარე დითირამბი? — როგორ უნდა შეეწყოს ერთმანეთისთვის ეს ორი საწყისი უკიდურესობებისკენ მიდრეკილ მოკვდავის ბუნებას? აპოლონს უნდა მოეთვინიერებინა შმაგი დიონისე, საზღვარი უნდა დაედო მისი უსაზღვრო ალტინებობისთვის; ეს მოხდა კიდევ სწორედ დელფოში, მზიური ღმერთის სამფლობელოში, სადაც შემოტუშვა მან დიონისე და დააოკა. მაგრამ ეს ამბავი გვიან მოხდა, ხოლო ჩვენი დრამა ელადაში მისი პირველშემოსვლის დროს მიმდინარეობს. ამ დროს ელინი პენტევისი აპოლონის სახელით უარყოფს ბაკხოსს.

პენტევისი არ უშვებს დიონისეს თებეში, ეწინააღმდეგება მას არა მხოლოდ იმის გამო, რომ არ სჭერა მისი ღმერთობა ან სემელეს შვილობა, არამედ უფრო იმის გამოც, რომ მისი „სალი აზრი“ ანუ „უსარგებლო სიბრძნე“ (რასაც უკუაგდებს გუნდი პირველ სტაიამონში) უარყოფს იმ მადლს, რაც დიონისემ უნდა შემოიტანოს ელადაში კაცთა მოდგმის საკეთილდღეოდ. პენტევისი დიონისეს ორგიაზში უხამსობისა და აღვირაბსნილობის მეტს ეერაფერს ხედავს, მაგრამ ბრმა ტირესია უფრო შორს და ღრმად იხედება. დიონისეს აპოლოგიას იგი იწყებს მისგან მოძღვნილი საყოველთაო მადლის დადასტურებით —

მერმე მოვიდა დიონისე, ვინც ყურძნის მტევანს  
წვენი აღინა, განაჩინა ჩვენდა სასმელად,  
რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე ვნებანი, —

რაც ეხმარება კითერონელი უბირი მწყემსის სიტყვებს: „რას  
უღვინოდ კაცთა ყოფა, ან ტრფობის გარე, სჯა რა სიამე დარჩე-  
ნია გატანჯულ მოდგმას“, — და ორჯერ, დაბეჯითებით გამოთქმულა  
ეს აზრი შეუძლებელია თავად ევრიპიდეს თვალსაზრისად არ ჩაე-  
თვალოთ, წინააღმდეგ იმ სწავლულთა, რომელნიც უარყოფენ ან არ  
სურთ დაინახონ პოეტის სულიერი გარდატეხის ფაქტორ, მისი მიღ-  
რეკა დიონისეს რელიგიისკენ. ტირესიასა და მწყემსის სიტყვებში  
გამოვლენილია დიონისეს ერთი მხარე — ეს არის, თუ შეიძლება  
ასე ითქვას, დ ი ო ნ ი ს ო ს პ ა ნ დ ე მ ო ს — „საყოველთაო, სა-  
ხალხო დიონისე“, რომლის აღიარების შემდეგ ტირესია შეაღწევს  
ადამიანის ბუნების იდუმალ სიღრმეში და ამბობს უფრო მწიგნუ-  
ლოვანს:

გეტყვი: წინასწარმეტყველია ახალი ღმერთი,  
რაკი ბაქტური, ღვთაებრივი გახელების ეამს  
იღვიძებს ნიჭი მისნობისა; ოდეს შეაღწევს  
კაცის შიგანში ღმერთი იგი, მყის მომავალი  
აღიხილება ცნობამიხდელ მზერის წინაშე.

აქ უკვე მისანმა ტირესიამ აღიარა მისტიური დიონისე  
და მისი ღვინოც ჩათვალა არა უბრალო ყურძნის წვენად, არამედ  
სამისტიერიო საშუალებად, — მსგავსად ძველ ინდოელთა ღვთაებრივი  
სომასი, რომლის თანხლებით ივალობებოდა ვედური პიმენტა —  
ადამიანში, ბუნებაში მისნური და შემოქმედებითი უნარების გამღვი-  
ძებელ-აღმძრავად, რასაც „იონში“ გულისხმობდა პლატონი. ამგვარ  
დიონისეს უარყოფს პენთესი; ამით უარყოფს იგი ადამიანის ბუნე-  
ბის საუკეთესო ნაწილს, უფრო სწორად, მის გულისგულს, ცხადია,  
საკუთარ თავსაც და, ბოლოს, დიონისეს დრამას, ტრაგედიას, რომ-  
ლის მონაწილეც ხდება მისდა უნებურად.

მონაწილე და მსხვერპლიც, დიონისეს ნაცვლად გაღებული  
მსხვერპლი. ყოველი ცხოველი, რომელსაც გახელებული მენადები  
გლუჯენ „ევოეს“ ძახილით — დიონისეა. ის საშინელი სცენა (მესამე  
ეპისოდონში), რომლის მოწმენი კითერონელი მწყემსები შეიქნენ,



წარმოადგენს დიონისური მისტერიის კლასიკურ მაგალითს, რომლის დროსაც ბაქები ქალები გლეჯენ ამ ღმერთის სხეულს: ხარძროხა დიონისეს სხეულია. ამგვარი ბაქხანალები იმართებოდა ყოველწლიურად, შემოდგომობით, როცა მთავრდებოდა რთველი და იწურებოდა ახალი ღვინო (ყურძნის ქყლეტაც დიონისეს სხეულის ვენება). დიონისე ცხოველი-ლომიც არის („ხარად გამოცხადდი რქადასხმულ... ანუ ლომად ცეცხლოვანად გამოჩნდი“ — მღერის გუნდი მეოთხე სტასიმონში) და სწორედ ეს დიონისე-ლომი მოჰკვლევს ბაქხმა ქალებმა პენტევის სახით.

ამრიგად, პენტევი დიონისედ, ან, უფრო სწორად, დიონისე სე ბუ რ ა დ ო კ ე დ ა, რაც თითქოს იმას მოასწავებს, რომ იგი მაინც ვერ გაექცა თავის თავში დიონისეს, რომელიც გუნდის სიტყვებით „თავად ბუნების გულშია ჩაფეხილი“ და, ცხადა, ადამიანის ბუნებაშიც. პენტევი შიგნიდან ააფეთქა დიონისურმა საწყისმა, რასაც ცალმხრივ-აპოლონური ძალით აზმობდა და ავტებდა თავის არსებაში. ამიტომ, იგი მსბერაჟლიცა და მაგალითიც: მისი სიკვდილით განმტკიცდა დიონისური, გაცხადდა მისი ძალა. მაგრამ ამგვარი აღსასრული — ვნებელი ღმერთის ბედის გაზიარება — პენტევის მიმართ ირონიულია, ტრაგიკულად ირონიული. ეს ირონია რომ არა, თებეს ჰაბუკ მეფეს იმ სავლეს შევადარებდით, ქრისტეს მდევნელს, რომელიც შემდეგ დამასკოს გზაზე პავლედ იქცა, ქრისტეს დაუცხრომელ მიმდევრად.

ზემოთ გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ დრამაში ავტორის ერთ-ერთი ნილაბი შესაძლოა პენტევი ყოფილიყო; ნამდვილად ესე თუ არა, ძნელი სათქმელია. ამასთან კავშირში ნიშანდობლივი ის არის, რომ ტრაგიკოსის სიკვდილის შემდეგ შეითხზა თქმულება, თითქოს იგი მაკედონელ გახელებულ მენადებს (მაკედონიაში, სადაც სიმშვიდეს ეძებდა) ასო-ასო აეკუწოთ. „ბაქ ქალებს“ წარმოუშვია, როგორც ჩანს, ეს ლეგენდა, რომელშიც აგრეთვე ირონია იმალება; ოღონდ სატირული — სატირიკოს არისტოფანეს მიაწერენ მას. მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი შემთხვეული და რა განზრახვითაც არ უნდა შეეთხზა იგი, ამ თქმულებამ უკანასკნელი დიდი ტრაგიკოსი დიონისური მითოსის წრეში მოაქცია — ორუკეთან, ლიკურგოსთან და საკუთარი დრამის გმირთან, პენტევსთან ერთად, ვითარცა მათი ტრაგიკული ბედის თანაზიარი.

მაგრამ ავავე? იგი ხომ დრამის ნამდვილ-ტრაგიკული პერსონაჟია.

იგი შემოდის ყველაზე გვიან, ექსოდოსში, როცა უკვე გაღებულია სავალალო მსხვერპლი და ტრაგედიის მთელი სიძიმე მას აწევს. პენტევის დაიღუპა მისი ხელით — დიონისემ შურისგების მიზნით ბაკხადქმნილ დედას მოაკვლევინა შვილი და მიიღო მისგან მსხვერპლად. ყველაფერი დამთავრდა, დასრულდა ორგია კითერონზე და ახლა აგავე დგას თებეს სახლის წინ თირსოზე წამოკვებული ზეილის თავით ხელში, ბაკხევისს წყალობით მონადირებელი ლომის თავი რომ ჰგონია. მას ელის ნაბახუსევის — ამ სიტყვის ფართო და ტრაგიკული აზრით — მწარე წუთები; მაგრამ ჯერ კიდევ შეშლილი თვლებით გასცქერის მამისეული სახლის ტრიგლიფებს — სად ჩამოაკიდოს ნანადირევი? — და მოუხმობს კადმოსს, პენტევისს და თებეს მოქალაქეთ, რათა გაიზიარონ მისი გამარჯვების ზეიმი. მაგრამ რამდენადაც ტყბილია სიბრძვე და ექსტაზი, იმდენად სასტიკია და აუტანელი თავისი სიციხადით გამოფხიზლების ეამი, რომელიც გარდაუვალად უნდა დაუდგეს აგავეს. ეს აღგილი უძლიერესია მთელს ტრაგედიაში: მღუმარებაში გაისმის თანდათანობით გამოფხიზლების უფაქიზესი მელოდია — დიალოგი კადმოსსა და აგავეს შორის, სადაც მამა ეშველება ასულს, გადაიყაროს ცნობიერებიდან ავბედითი ღრუბელი. უმარტივესია კადმოსის ფსიქოთერაპია: — «ჯერ მაღლა, ცისკენ აიხედე», ეუბნება აგავეს; ხოლო აგავე: «აჰ, ავიხედე... გარნა რად მიბრძანე?...» კვლავ კადმოსი: «ცა იგივეა, თუ ფერნაცვალი მოგეჩენა?» აგავე: «უწინდელზე უფრო ბრწყინვალეებს, შუქთა მთოველი...» კადმოსი: «ნუთუ გახელება არ გაგინელდა?» აგავე: «გამინელდა?... ამას რად ამბობ? ჰო, თითქოს რალაც მაგონდება...» ტრაგიკულია დაპირისპირება ზეივის მარადიულ სიწმინდესა და ადამიანის ამღვრეულ ცნობიერებას შორის. მაგრამ ერთი ახედვა ცისკენ კადმოსის კარნახით გადაახალისებს აგავეს დანისლულ გონებას და ამის შემდეგ თანდათან ცხადდება სასტიკი სინამდვილე, რომლის მხნედ ატანა მხოლოდ ტრაგედიის გმირებს ძალუძთ (გავიხსენოთ ოიდიპოსი მისი კიდევ უფრო მძიმე დანაშაულით, რაც აგრეთვე შეუგნებლად იყო ჩადენილი).

ახლავ მიხვდება აგავე, რომ მთელი ეს ენთუზიაზმი, კითერონზე გატარებული ღრო ბაკხ ქალებთან ერთად, მხოლოდ კომპარი იყო და არა ნამდვილი დიონისური დღესასწაულა, მხოლოდ უალბი ორგიაზმი, «მოჩვენებითი ბაკხოზა» (პლასტაი ბაკხეიანი, როგორც თავად პენტევის წამოსცდა ურთვან), რომელიც დიონისემ დადგა თავისი ღმერთობისა და ყოველისშემძლეობის დასადასტურებლად — დრამაში დრამა.

აქ კვლავ იკვეთება ტრაგედიის აზრი: დიონისეს შემოსვლა ელა-  
დაში უმსხვერპლოდ არ მომხდარა; უფრო მეტიც: გაუბედურდა და  
განიდენა კადმოსის ძველი სახლი, სწორედ ის კერა, საიდანაც გა-  
მოვიდა დიონისე — „თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეი-  
წყნარეს“ —

უნდა ამხდარიყო ტირესიას წინასწარმეტყველება:

მალე იხილავ დელფოშიაც, პარნასის მთაზე,  
ჩირაღდნით ხელში მობტუნავეს, ბაქხისეული  
რტოების მქნეველს, განდიდებულს მთელს ელადაში.

ზურაბ კიკნაძე

## მოქმედნი პირნი

დიონისე — იგივე ბაკოსი, ბაკევესი, ბრომიოსი;  
კაცის სახით გამოცხადებული ღმერთი, ზევსისა  
და კადმოსის ასულის, სემელეს ძე.

გუნდი — ლიდელი ბაკი ქალები, ღიონისეს თან-  
მზღებნი.

ტირესია — მოხუცებული ბრმა მისანი.

კადმოსი — თებეს, დამფუძნებელი და მისი ყო-  
ფილი მეფე.

პენტევისი — კადმოსის შვილიშვილი, აგავეს ძე,  
თებეს მეფე.

მსახური.

მსახური პენტევისისა.

მაცნე — კითერონელი მწყემსი.

მეორე მაცნე — პენტევისის ერთ-ერთი მსახურ-  
თაგანი.

აგავე — კადმოსის ასული.

მოქმედება მიმდინარეობს თებეში, სამეფო სასახ-  
ლის წინ.

• • •

პირველად დაიდგა ათენში ტრაგიკოსის სიკვდილის  
შემდეგ, 406 წ. ძვ. წ. მისი შვილის, ევრიპიდეს მიერ  
ორ სხვა დრამასთან ერთად — „იფიგენია ავლისში“  
და „ალკმეონი კორინთოში“ (ეს დრამა არ შემორჩენი-  
ლა).

## პ რ ო ლ ო გ ო ს ი

### ღ ი ო ნ ი ს ე

- 1 მე, ღიონისე, ზევსის შვილი, მოვადექი თებეს,  
სადაც ასულმა კადმოსისამ, დედა სემელემ  
მოილოგინა და დამბადა მეხისტეხაში.  
აწ შემიცვლია ღვთაებრივი, უკვდავი სახე,  
მოკვდავთა აღით მოვევლინე ღირკეს წყაროსთვალს,  
ისმენეს ჭალებს, სადაც დედა განგმირა მეხმა.  
ვხედავ მის საფლავს, აკვამლებულ ნასახლარს ვხედავ:  
კვლავ ღვივის ცეცხლი, ზევსის ცეცხლი ჯერ არ დამცხრალა;  
ჩანს, არ დამცხრალა ჰერას რისხვაც სემელეს მიმართ!
- 10 დიდება კადმოსს, შეუვალი ადგილი ესე  
თვისი ასულის საწმიდარად რომ განაკრძალა!  
მე კი, მოსულმა, ოქრომრავალ ლიდის ქვეყნით,  
ვაზის მტევნებით დავამშვეენე ეს არემარე.  
გადმოვიარე მზედაკრული სპარსთა ზეგნები  
და ქალაქები ბახტრიისა, ფრიგიის მხარე,  
მიდიელების ცივი მიწა და ბედნიერი  
გადმოვიარე არაბეთიც, მთელი აზია,  
მლაშე ზღვის პირას გადაშლილი, სადაც ელინნი  
უცხოთა მოდგმას შერევიან და მალლა ცისკენ
- 20 თვალშეუდგამი გოდოლები ზეაღუმართავთ.  
იქ დავაწესე ფერხისაი და საიდუმლო  
ღლეობა, ვინძლო გაცხადებით ვეხილე მოკვდავთ.

უკანასკნელად მოვიხილე ელინთა მიწა  
 და აქ, თებეში, ირმის ტყავი მოვასხი თვისტომთ;  
 ხელთ მივეც თირსო, ჩემი შუბი სუროხვეული,  
 და ჩემეული შმაგი ხმებით ავაყიენე.  
 გამიბოროტდნენ დედისდანი, არ დაიჭერეს,  
 რომ თავად ზევსმა გამაჩინა მე, დიონისე;  
 ცილი დასწამეს დედაჩემსაც — სემელემ თითქოს,  
 30 ვილაც მოკვდავთან სამარცხვინოდ შეუღლებულმა,  
 ზევსს დააბრალა საიდუმლო თვისი ნაყოფი  
 (ასე ერჩიოს თითქოს კადმოსს ქალიშვილისთვის!)  
 და იმიტომაც მოიკლაო ზევსისვე ხელით.  
 გავშმაგდი მაშინ და შეშლილნი იგი ასულნი  
 პალატთა გარე გამოვასხი, მთებში ავყარე,  
 იქ დავასახლე და შევმოსე ძალისძალათი  
 ირმის ტყავებით, ნიშნად ჩემი ორგიებისა.  
 40 არვინ დავინდე, ვინც კი იყვნენ კადმოსიანნი  
 ქალთა ჯილაგის, აღვუბრე გონება ყველას.  
 იქ, კბოდებზე, შერეულნი კადმოსის ასულთ,  
 უპერქვეშონი ფიჭვთა ქვეშე შეფარებულან.  
 უნდა შეიგნოს ამ ქალაქმა, რომც არ უნდოდეს,  
 რას მოასწავებს უარყოფა ჩემი ბაკობის.  
 მე, დიონისე, ზევსის შვილი, უკვდავი ღმერთი,  
 მოკვდავთა მოდგმას მოვევლინე, რათა დავიცვა  
 წმიდა სახელი დამეხილი დედაჩემისა.  
 ეამგარდასულმა პაპაჩემმა, კადმოსმა, უკვე  
 თვისი ასულის ვაჟს უბოძა ძალაუფლება;  
 50 ახლა პენთევსი მეტოქეა და ღმერთს უარმყოფს,  
 არ მიღვრის საღვრელს და ლოცვებში მე არ მახსენებს.  
 მაგრამ სულ მალე მოვალს ეამი და დავუმტიციებ  
 მას და თებელებს, რომ მე ზევსის ნაშიერი ვარ!  
 მერმე კი გავსწევ სხვა მხარისკენ და თუ პენთევსი  
 ჩემს არყოფნაში ჯარებს შეჰყრის, რომ ჩამორეკოს  
 55 ბაკხი ქალები იმ მთებიდან, სადაც ავლალე —  
 მენადები თურთ დავბრუნდები და ბრძოლის ცეცხლში  
 თებეს მკვიდრთაგან არ დავარჩენ ცოცხლად არავის!

ამად ვიცვალე ღვთაებური, უკვდავი არსი  
და კაცებრივად ფერნაცვალი გამოვჩნდი თებეს.

(შემოდის მენადების გუნდი)

ეჰა, დიაცნო, ვინც დასტოვეთ ლიდიის კოშკი,  
წმიდა ტმოლოსი, ჩემნო დასნო, ვინც წამოგასხით  
უცხოთესლთაგან და შეგრაცხეთ თანამგზავრებად —  
დაჰკათ დაფდაფებს, ფრიგიელთა მქუხარე საკრავს,  
დედა კიბელემ და მე თავად რომ გაგიჩინეთ!  
სამეფო სახლ-კარს პენთევსისას უარეთ ირგვლივ,  
რათა წარუღოთ ყურთასმენა კადმოსის ქალაქს.  
ახლა ბაკხებთან კითერონის ფერდობებისკენ  
გავეშურები, რომ ჩაეება მეც ხორუმებში.

65

### კ ა რ ო ლ ო ს ი

გ უ ნ დ ი

ს ბ რ ო ფ ი ა

აზიის მიწა დამიგდია,  
წმიდა ტმოლოსით მოვიჩქარი,  
რათა ბრომიოსს, მოგრიალეს.  
მივაგო ტკბილ-მწარე საშრომელი —  
„ევოეს“ მქუხარე ძახილით  
დიონისე ვადიდო!

ანტისტროფი ა

გზაზე ვინა დგას, გზაზე?  
ჭერქვეშ ვინა ხართ? გაირინდეთ!  
წმიდად დაიკრძალეთ ბაგენი,  
წესისამებრ იღუმეთ!  
მარადის სადიდებელ  
დიონისეს ვადიდებ!

• ნეტარ ხარ, მოწმიდარო, ნეტარ,  
 დიად ნასრულობას\* წილნაყარო,  
 ცხოვრებას წმიდად განიკრძალავ,  
 ღვთაებისად სულის შემწირველო!  
 მათათა შინა ბრომიოსს თანაურბი,  
 ღვთიურ განწმედათა მოშურნეო!  
 დედა კიბელეს წესებს აღუსრულებ,  
 ნართეკის კვერთხის მალლად მქნეველო!  
 90 თაეზე სუროს გვირგვინად იწნავ,  
 მარადის დიონისეს მხლებლო!  
 ეპა, დიაცნო, ეპა, დიაცნო,  
 დიაცნო ბაკხოსის მოდასენო,  
 რომელნი ფრიგიის მთებიდალმე  
 ყრმა დიონისეს მოუძღვებით  
 წიაღიან, მშობელ ელადისკენ —  
 მოგრიალე ბრომიოსს!

ანტისტროფი ბ

მიდგომილ ასულს ნაყოფი ედგა  
 მომლოდინეს საღმობის ჟამისა —  
 100 ოდეს ზეგარდამო მეხისტეხით  
 უჟამოდ აშობინა ზევსმა.  
 და მერმე მეხით დაფერფლილი  
 დედა განერიდა საწუთროს.  
 უჟამოდ ნაშობი კრონიონმა მიირქვა,  
 საშოდ თვისივე თეძო განუჩინა,  
 ოქროს კინძებით შიგ მიიკრა  
 ჰერასაგან ფარულად.

\* ნ ა ს რ უ ლ ი — „წარმართნი, რომელთა ასწავებენ საიდუმლოთა ეშმა-  
 კისათა“, (საბა). აქედან გამომდინარე „ნასრულობა“ ნახმარია ტექსტში ბერძნ.  
 τειλεται -ს („საიდუმლოებაში ზიარება“, მისტერია) მნიშვნელობით; ეტიმოლო-  
 გიურად ნიშნავს „განსრულებას“ (τελεω „დასასრული“).



- მერმე მოირების განგებით  
ზევის თეძოდან მეორედ იშვა;  
გვირგვინად გველები შემოაწნეს  
110 ღმერთს ხარისრქებიანს.  
მის კვალად იწნავენ თმებში მენაღები  
გვირგვინს ესევითარს.

#### სტროფი 2

- თებეო, სემელეს გამზრდელო,  
სუროს გვირგვინი შემოიწან,  
მოირთე ურთხელის მარადი სიმწვანით,  
ბაკხისეულ ხმაზე აყიენდი!  
მუხის და ნაძვის რტობით მოირთე,  
მოისხი ირმის ხატულა ტყავი,  
120 უფრორე ფიჩვი სპეტაკებწვიანი,  
შმაგი ნართეკის პურობად განიწმიდე!  
მალე ამ მხარეს ხორუმი წალეკავს,  
ოდეს ბრომიოსი მოგრიალე  
თავის ამაღას წარუძღვება  
მთებისაკენ გრიალით, მთებისაკენ!  
იქ დარჩენენ დიაცნი, დახელთილნი,  
დიონისემ ჯარას რომ მოსწყვიტა.

#### ანთისტროფი 2

- კურეტების წმიდა სავანეო,  
კრეტას დაბურულო მღვიმენო,  
სავანეო, ზევისს გამოზრდელო —  
130 კორიბანტებს ვუმადლი, კორიბანტებს,  
დაფდაფები თქვენგნით მომიტანეს.  
მერმე შეუწყვეს დაფდაფთა გრიალი  
ფრიგიელთა ტკბილხმიან სალამურს  
და დედა რეას ხელში ჩააბარეს,

რათა ეყიყინათ ბაკხური „ევოე“.  
მერმე შლეგიანმა სატირებმა  
• დედა ქალღმერთისგან საჩუქრად მიიღეს,  
ხელთ იპყრეს იგი დაფდაფები  
და სამწელიწდეულ ქორუმებში  
დიონისეს სალხენად აქუხეს.

### ეპოღოსი

ოჰ, ტკბილი ჟამი, სანეტარო!  
ტანზე ირმის ტყავი შეგემოსა,  
ბაკხოზის წმიდა სამოსელი.  
ლიდიის მთებში მირბოდი, მირბოდი,  
დამაშვრალი მიწად ეცემოდი,  
ტყიურ ნადირთა მონადირეს  
უმი ხორცი მოგშიებოდა!  
წინამძღოლის ძახილი ჩაგესმოდა:  
150 „ევოე, ბრომიოს! ბრომიოს, ევოე!“  
აჰა, რძის ღვარი ეღვრება მიწას,  
ფუტკრის ნექტარი და ღვინო მოსჩქეფს,  
ტკბილსურნელოვანი იწვის საკმეველი,  
ბახუსს ხელთ უპყრავ კვარი მოგიზგიზე,  
ნართეკის კვერთხი მალლა აღუმართავს  
და ფაფარაყრილი ფერხულად მოუხმობს:  
„ბაკხო ქალებო, მოვედით, მოვედით!  
ლიდიის ოქროვან წყალში განბანილნო,  
დაფდაფთა გრიალზე დიონისეს უმღერეთ,  
160 ყიყინით აღიდეთ ღმერთი მოყიყინე!“  
ოდეს სალამური, წმიდა საკრავი,  
ღვთაებრივ ხმაზე გაიწკრიალეღს —  
შთუბისკენ ეშურება, მთებისაკენ  
გახელგმულ დიაცთა დასი.  
ვით კვიცი, დედის წინ მოკუნტრუშე.  
ბაკხი ჭაღი ხალისით მიხლტის.



## პირველი ეპისოდონი

(შემოდის ტირესია)

ტირესია

- პეი, რომელი ხარ? გამოუხმეთ სახლიდან კადმოსს,  
აგენორის ძეს, ვინც დასტოვა ძველი სიღონი  
და თებე-ქალაქს გალავანი ვინც შემოავლო!  
ეახლოს ვინმე და აცნობოს, რომ ტირესიას  
170 მისი ნახვა სურს. თავად უწყის, რისთვის მოვსულვარ,  
რა საქმე მივის მე, ბერიკაცს, ჩემზე უხნესთან:  
ხელთ ვიპყრათ თირსო და მოვისხათ ირმის ტყავები,  
ჭალარა თავი ნორჩ სუროთი დავიგვირგვინოთ!

(შემოდის კადმოსი)

კადმოსი

- ძვირფასო ჩემო, ხმაზე გიცან, რა შემომესმა  
პალატთა შიგან ბრძნული სიტყვა ბრძენი კაცისა.  
აჰა, მეც მოველ შემოსილი ღმერთის სამოსით,  
რაკი შეგვეფერის განვადილოთ დღეს დიონისე,  
ღმერთქმნილი ვაჟი დამეხილი ჩემი ასულის.  
180 მაშ, წინ გამიძებ, ტირესიავე, მოხუცი მოხუცს!  
ბრძენი ხარ, იცი, სად გაიბმის შმაგი ფერხული,  
სად უნდა დავდგეთ და ვარხიოთ ჭალარა თმები.  
ნუმც დავილლებით თირსოს კვერთხის მიწაზე ცემით,  
წარხდეს სიბერე...

ტირესია

ბერო კადმოს, მეც შენთანა ვარ,  
მეც ჭაბუკური გახელებით ვესწრაფი ფერხულს.

კადმოსი

აბა, ვიჩქაროთ, გავაქროლოთ მთისკენ ეტლები!

ტირესია

ეტლებით სრბოლა არ ეგების ბაკხის ზეიმზე.

კ ა დ მ ო ს ი

მაშ, შენ წამიძელ, მიწინამძღვრე მოხუცმა მოხუცს!

ტ ი რ ე ს ი ა

ღათქმულ ალაგას მალე მივალთ ღმერთის შეწევნით.

კ ა დ მ ო ს ი

190 მხოლოდ ჩვენ ორნი ჩაეებმებით ბაკხურ ხორუმში?

ტ ი რ ე ს ი ა

მხოლოდ ჩვენ განესჯით გონივრულად, ცთებიან სხვანი.

კ ა დ მ ო ს ი

ნულარ ვაყოვნებთ. აბა, მოდი, ხელი ჩამჭიდე.

ტ ი რ ე ს ი ა

ჰა, ჩემი ხელიც, მომაშველე შენი მარჯვენა.

კ ა დ მ ო ს ი

მოკვდავი კაცი არ გარდავალ უკვდავთა ნებას.

ტ ი რ ე ს ი ა

ღმერთებს ნუ განვჩხრეკთ — წინაპართა ჩვენთა ანდრეზი ისე ძველია, ვით ღრო-ქამი დაუსაბამო, და ვერრა სიტყვა კაცებრივი მას ვერ გარდაცვლის, თუნდ გახლდეს სიბრძნე, მოხვეჭილი ღრმა საუნჯიდან. გამკიცხვენ ალბათ, რომ ასაკი არად ჩაეაგდე და სუროს გვერგვით ფერხულსკენ მივეშურები. მაგრამ ბერიკაცს ჭაბუკისგან არ არჩევს ღმერთი, ოდეს ხორუმში ჩაებმიან მოფერხულენი — მზად არს მიიღოს ყველასაგან ღირსი პატივი.

კ ა დ მ ო ს ი

რაკი მზის თვალი არ გინათებს, ბრძენო მოხუცო, მენდე, მოგითხრობ ყოველივეს, რაც იქ მოხდება. აგერ, პენტევისი მოიჩქარის სასახლისაკენ, ექიონის ძე, ვისაც ტახტი დავუთმე ჩემი.

210 შეშფოთებულა, რა სიახლეს გაგვიმხელს ნეტავ?  
(შემოდის პენტევისი)

თებეს მიწაზე შემოქცეულს უცხო თემიდან  
 ქალაქში დამხვდა უჩვეულო, ავი ამბები.  
 პალატებიდან გაკრეფილან ჩვენი დიაცნი  
 და მაცთუნებელ, ყალბ დღეობებს მართავენ მთებში;  
 შმაგი ფერხულით თაყვანს სცემენ ღმერთს ახალბედას,  
 ღმერთს, დიონისედ სახელდებულს აპკიდებიან.  
 წინ უდგათ სავსე ლაგვინები, თანაც მალულად  
 მამაკაცების სარეცლისკენ უჭირავთ თვალი.

220

ჩანს, აფროდიტე უფრო მეტად შეჰყვარებიათ,  
 ვინემ ბაქხევსი. ვისაც მიეწვდი, შევიპყარ ყველა  
 და ხელშებორკილთ მსახურები დავუდარაჯე.  
 ვინც გადამირჩა, თავის დროზე მათაც მოვრეკავ —  
 ინოს, ავავეს, ვინც დამბადა ეჭიონისგან

და ავტონოეს, დედას ბედკრულ აკტეონისას.  
 თმებით დავითრევე, გამოვახვევ რკინის ბადეში  
 და დავუყარგავ ბოროტეულ ბაქხობის ხალისს.

ამბობენ, ვილაც უცხოთესლი მოსულა თებეს,  
 ვილაც გრძნეული და მჩხიბავი ლიდიეთიდან,  
 თავთუხისფერი კულულები მხრებს დაჰფენია,

230

ღვინისფერ თვალებს აფროდიტეს მადლით აბრწყინება:  
 იკრებს ქალწულებს ყოველისმხრით და დღენიადავ  
 დაუცადებლად ნასრულობის ბადეში აქცევს.

ოჰ, ნეტავ მასაც მისწვდებოდეს ჩემი მახვილი!  
 ჩავუჩუმებდი იმ გრუხუნა თირსოს კვერთხის ხმას,  
 ფაფარამლილ თავს ფერხთა ქვეშე დავუგორებდი!

ამბობენ, თითქოს ღმერთი იყოს ის დიონისე,  
 თითქოსდა ზევსის ვრცელ ბარკალში გამოიწუშა.  
 მაგრამ ხომ ვიცით, რომ თვით ზევსმა დამეხა ბავშვი  
 დედასთან ერთად, ვინც დასწამა ცილი კრონიონს.

240

განა ამისთვის სარჩობელას ღირსი არ არის  
 ის თვითმარქვია, თავგასული გადამთიელი?

(შეამჩნევს ტირესიასა და კადმოსს)

ამას რას ვხედავ! საოცრებავ! ბრძენ ტირესიას

ტანზე მოუსხამს ირმის ტყავი აკრელებული.  
ხოლო პაპაჩემს, ო, სირცხვილო! ხელთ თირსოს კვერთხი  
დაუჭერია და ბაკობად გამზადებულა!  
რა დაგმართნიათ ბერკაცებს! შეგშლიათ გონი!  
ჰე, კადმოს, ნუთუ არ მოიგლეჯ მაგ სუროს გვირგვინს?  
მითხარ, როდემდის გეჭირება ნართეკის კვერთხი?  
შენ შეაცდინე პაპაჩემი, შენ, ტირესიავ!

- 250 გინდა, თებელებს მოუვლინო ახალი ღმერთი,  
რომ ფრინველებზე მკითხაობით და კვამლის ჰერეტიო  
წილად გხედეს მეტი საზღაური. მხცეს უმადლოდე,  
თორემ შენც მათთან იქნებოდი გამომწყვდეული —  
ბაკხ დიაცებთან, სიბილწე რომ შემოგვაპარეს.  
წარწყმედილია ის დღეობა, ის საღვთო სუფრა,  
სადაც ღვინის სმას დიაცნიც არ ეკრძალებიან.

### გ უ ნ დ ის წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი .

- ჰოი, რა სიტყვები ესმის ყურთა ჩემთა!  
რად არ უფრთხი ღმერთებს, უცხო კაცო?  
რად არ გეშინის კადმოსისა, მიწისშვილთა დამთესელის?  
260 რად არცხვენ, ძეო ეჭიონისაო, მოდგმას შენსას?

### ტ ი რ ე ს ი ა

- ბრძენკაცს შეშვენის საუბარი მჰევერმეტყველური,  
ოდეს საგანი ღირსეული დაუცს სათქმელად:  
ხოლო შენ, პენთევს, გავისარჯავს ამაოდ ენა —  
სიტყვამარჯვე ხარ, გარნა აზრი არ მოგდევს ბრძენის.  
მხოლოდლა ენით მოქადული უგნური კაცი  
მამაციც იყოს, ვერ ივარგებს ქვეყნის გამრიგედ.  
შენ რომ დასცინე — ღმერთი იგი ახლად მოსული,  
არ ძალმიძს თხრობად, ვით განითქმის ელადის მხარეს.  
ორი ღმერთია, კაცთა მოდგმას რომ ასულდგმულებს:  
270 ერთი — დემეტრე; დედა-მიწა, შშრალით მკეებავი;\*  
მერმე მოვიდა დიონისე, ვინც ყურძნის მტევანს

\* ივულისხმ. „ხორბალი“.

- წვენი აღინა, განაჩინა ჩვენდა სასმელად,  
რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე ვნებანი.  
ნეტარი ძილის მომგვრელია დამაშვრალთათვის,  
იგი გვავიწყებს ყოველდღიურ ტანჯვა-წვალებას;  
თვით ღმერთი იგი ღმერთებისთვის იღვრება მსხვერპლად,  
ხოლო კაცთათვის მომტანია დიდი სიკეთის.  
ამასაც გეტყვი — მდაბიორებს მოუჭორიათ,  
თითქოს ბარკალში ჩაეკეროს ზევსს ჩვილი ღმერთი.
- 280 ეს ზლაპარია, ნამდვილ ამბავს ახლა გაიგებ:  
როდესაც ზევსმა დიონისე, ახლადშობილი,  
გამოარიდა მეხის ცეცხლს და ცად აიტაცა,  
განრისხდა ჰერა, დაუპირა ძირს ჩამოვდება.  
მაშინ კრონიდემ მოიკრიბა ზევსური ძალა —  
ჰვირვალე ეთერს გამოჰგლიჯა მცირე ნაწილი,  
განაზრქო იგი, დიონისეს ორანი შექმნა  
და განრისხებულ ცის დედოფალს მძევლად მიართვა.  
ეს ასე მოხდა, მაგრამ ხალხმა, უბირმა ხალხმა,  
რა ველარ შესწვდა საიდუმლოს, შეთხზა ზლაპარი,
- 290 თითქოს ბაკხევსი ზევსის თემოს\* გამოეზარდოს.  
ამასაც გეტყვი: მისანია ახალი ღმერთი,  
რაკი ბაკხური, ღვთაებრივი გახელების ეამს  
იღვიძებს ნიჰი მისნობისა; ოდეს შეაღწევს  
კაცთა შიგანში ღმერთი იგი, მყის მომავალი  
აღიხილება გონდაკარგულ მზერის წინაშე.  
არესის ველზეც წილი უძევს, უწყოდე ესეც:  
მისი მადლია, რომ დამფრთხალი ჯარი ურიცხვი  
გაურბის შუბებს და ერღვევა საბრძოლო წყობა.  
მალე იხილავ დელფოშიაც, პარნასის მთაზე,
- 300 ჩირალდნით ხელში მოხტუნავეს, ბაკხისეული  
რტოების მქნეველს, განდიდებულს მთელს ელადაში.  
გონს მოდი, პენთევს! ნუ იჭადი ძალმოსილებას,  
კაცთა ნებაზე ბატონობის არ შეგწევს ძალი.  
ნუ დაენდობი ჰქუას შენსას, არ მოგაცთუნოს!

\* სიტყვის თამაში: (პო) მეროს — „თემო“, პომეროს — „მძევალი“.



თებე-ქალაქში შემოღუშვი ახალი ღმერთი,  
ულვრიდე საღვრელს, თავს დაიწან სუროს გვირგვინი,  
ხელთ იპყარ თირსო და ჩაები ბაკხურ ზეიმში.

- 310 არ მოვლენილა დიონისე ამ წუთისოფლად,  
რომ ყმაწვილ ქალებს აარიდოს ეროსის ვნება —  
ეს მათ ხელთაა: თვით ბაკხურე გახელების ქამს  
თავს არასოდეს არ წაიხდენს ქველი ასული.  
ხომ კარგად ვიცი, ვით გიხარის, როს მთელი თებე  
ქება-დიდებით იხსენიებს პენთევსის სახელს;  
მაშ, მოხარულმა გაახარე ყრმა ღმერთის გულიც!  
ახლა კი, პენთევს, თუნდ დავგვინო, მე და კადმოსი  
მოვისხამთ სუროს და ჩავდგებით მროკველთა წრეში;  
ჰალარანი ვართ, მაგრამ მაინც გვმართებს ფერხული.  
ღმერთს ვერ უარეყოფ, ვერ დაეყვები შენს უღვთო ნებას.  
შენ კი, შეშლილო, ვერ გიშველის ვერა წამალი,  
320 რაკი სიცოფეს, უკურნებელს, მოუწამლიხარ!

#### გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

მფარველ აპოლონს როდი ჩრდილავ, ბრძენო მოხუცო,  
ოდეს საკადრის პატივს აგებ ყრმა დიონისეს.

#### კ ა დ მ ო ს ი

- ო, შვილო ჩემო, ტირესიამ სწორად გირჩია!  
შემოგვიდექი, ნუ გადახვალ ღვთაებრივ წესებს,  
ნულარ ჭოჭმანობ, გონიერი კვლავ გონს მოეგე.  
თუნდაც არ იყოს იგი ღმერთი, როგორცა ფიქრობ,  
დე, ითქვას შენგნით! თქვი სიცრუე კეთილმოქმედი.  
და თუ განცხადდა, რომ სემელეს ღმერთი უშვია,  
უკუნისამდე იკურთხება ჩვენი გვარ-ტომი.  
330 ნუთუ არ გახსოვს მწარე ხვედრი აქტელნისა,  
სვეუბედური მონადირის, ვინც მისივ ძაღლებს  
შემოეგლიჯათ არტემისის წმიდა ნაკრძალში,  
რა დაიქადა, დავჯაბნიო მშვილდოსან ქალღმერთს?  
შორს შენგან ეგე! მო, სუროთი დაგავიროვინო,  
რომ ჩვენთან ერთად ღმერთს მიაგო ღირსი პატივი.

## პ ე ნ თ ე ს ი

არ მომეკარო! თავად წადი და იბაკხურე!  
მე ნუ წამბილწავ ემაგ სენით, ხოლო შენს მოძღვარს,  
თავს რომ დავხურა სამარცხეინო სუროს გვირგვინი,  
მივაგებ სასჯელს.


(მიმართავს მხლებლებს)

- აბა, ჰეი, სწრაფ მიაკვლიეთ  
340 იმ ადგილს, სადაც ეს მისანი ფრინველ-მკითხაობს!  
დასცხეთ კეტები, შეურყიეთ სადგომის ჰერი  
და კედელ-ყურე თავდაყირა აუტრიალეთ.  
თავსაკვრელები გაატანეთ ქარს და ბორიოს!  
დაე, შეძრწუნდეს, ბაკხურობის წაუხდეს ნირი!  
სხვებმა კი თებე მოიარეთ. ეძებეთ ყველგან  
ქალსახიანი უცხოელი, ვინც ჩვენს დიაცებს  
ჯადოთი ჩხიბავს და უბლალავს წმიდა სარეცელს.  
ეძებეთ, ვიდრე არ შეიპყრობთ; მაგრა შეჰკარით,  
სწრაფად მომგვარეთ შებორკილი, რომ ქვით განტეინულს  
350 ამოვაშხამო ჩემს ქალაქში ბილწი ზეიმი.

## ტ ი რ ე ს ი ა

- ჰე, უბედურო, რასაც ამბობ, თავად არ უწყი!  
გონს გადასულხარ, თუმც ადრევე წაგერთვა გონი.  
წავიდეთ, კადმოს, ნუ ვაყოვნებთ, ღმეროს შევავედროთ  
შლეგი პენთეესი, რომ ჩვენს ქალაქს გამწყარალმა ღმერთმა  
კიდევ ახალი უბედობა არ მიუსართოს.  
დაეყრდენ თირსოს და მომყევი, აგენორის ძე,  
ერთურთს დავენდოთ, აუგია ჩვენი დაცემა.  
რაკი ბაკხოსის სადიდებელ ზეიმში მივალთ!  
მეშინის, კადმოს, რომ აგავეს შემლილმა შეილმა  
360 შენი სახლიდან არ აღგავოს\* ძველი დიდება!  
არა, მისნობით როდი გითხრობ, შენც კარგად გესმა:  
თავად პენთეესის პირმა წართქვა ეს განაჩენი.

\* დედანში სიტყვის თამაშია: პენთეუს — პენთოს „უბედურება“.



გუნდი

სტროფი ა

- ჰოსია\* — მაღალო სათნოებაე!  
 ჰოსია — ღმერთთა დედოფალო!  
 ჰოსია, რომელი ხმელთა ზედა  
 ფრთებით ოქროვანით დაფრინავ!  
 გესმისა პენთევის უთნობა,  
 გესმისა ბრომიოსის შეგინება,  
 სემელეს ღვთიური ძისა?
- 370 ღმერთისა მოხარულის, პირმცინარის,  
 თიასურ\*\* ქოროებს რომ უძღვება,  
 მოწმიდართა დასის წინამდგომის,  
 სტირის ხმაზე ნაღველს რომ გვიამებს?  
 კურთხეული ყურძნის დამწურავის,  
 ლავინიდან ღვინოს რომ აჩქეფებს?  
 სუროსგვირგვინიან მონადიმეთ  
 სანეტარო ძილ-ბურანს რომ მიუღვრის?

ანტისტროფი ა

- ბაგეუკრძალავნი, უკეთურნი  
 ზვედრს უკეთურსავე მიითვლიან
- 280 ეჰა, მყუდროებაე სანეტარო,  
 ეჰა, განწმედილო ფიქრებო,  
 რა შეარყევს ჰერს და ყუდროს,  
 სად მარადის სუფევთ?  
 ხოლო ზეციერნი ზეგარდამო  
 მარად ჰვრეტენ მიწიერთა საქმეთ.  
 ამაოა ყოვლი სიბრძნე,

\* ჰოსია — ქალღმერთი, უმაღლესი სიწმიდისა და სათნოების განსახიერება.

\*\* თიასოს — ბაკური გუნდის საზეიმო მსველელობა.

- თუ ცხოვრებამ ჩაგიარა ამოდ:  
მაშ, იფიქრე, დღენიადაგ იფიქრე,  
ოაზომ უხანოა საწუთრო:  
390 მიუწვდომელ ოცნებათა მდევარი  
ქისაწვდომელს დაკარგავ.

#### სტროფი 2

- კვიპროსს მივაშუროთ, კვიპროსს,  
აფროდიტეს კურთხეულ ჭალაკს,  
სად მოკვდავთა ვნებით გამჩხიბავი  
ეროტები მკვიდრობენ;  
იქ, სადაც ასტოტა ბოკაროსი  
არწყულებს ფაროსის უწვიმარ მიწას!  
პიერიას ვნატრობ, სანეტაროს,  
სადაც მუზათა მყუდრო სავანეა.  
400 ოლიმპოს წმიდა ხეებისკენ  
წამიყვანე, ბრომიოს, წამიძებ,  
„ევეეს“ მაძახურო!  
იქ მკვიდრობს სიყვარული,  
იქ მკვიდრობს ვნება,  
იქ მკვიდრობს მენადების წესი საორგ. ო!

#### ანტისტროფი 2

- ხარობს ზევსის შვილი, ხარობს,  
დიონისე ღრეობებში ხალისობს!  
ირენე\* ჰყავს — ჩვილთა მზრდელი —  
ნანდაური სატრფო.  
სვით მდიდარნო, სვით ღატაკნო!  
410 ღვინის ღმერთი არ გაგარჩევთ,  
თქვენთვის აჩენს  
ქირთუქუმყრელ ღვინოს.

\* ირენე („მშვილობა“) — მშვილობის ქალღმერთი.

სძულს იგი, ვინც არ იკარებს,  
სიამებებს დღისეულთ და ღამეულთ.  
შორს სიბრძნე უსარგებლო, შორს  
ქკვიანთა ხვედრი უამური!  
უბირო ხალხო, ბახუსი თქვენია,  
სანადიმოდ თქვენსკენ ვეშურები!

## მეორე ეპისოდონი

(შემოდის მსახური)

მ ს ა ხ უ რ ი

- მოვედით, პენტევს, აღვასრულეთ შენი ბრძანება.  
420 ხედავ, ამოდ არ დაემშვრალვართ, მოგინადირეთ  
ნადირი იგი, ვის გულისთვის გაგვგზავნე მთებში.  
არ გაქცეულა, თვინიერად მოგვენდო მხეცი,  
ლაქდაჯა სახით, ფერუცვლელი იღვა ჩვენს წინა  
და გვიღიმოდა, როს ვბორკავდით წამოსაყვანად.  
მამინ ვეუბნე მოწიწებით: ჰე, უცხო კაცი,  
ნუ გეგონება, ჩვენის ნებით დავსხმოდით თავსა,  
პენტევსმა ბრძანა და ვასრულებთ მის ნება-სურვილს,  
ახლა ისმინე, მეუფეო, სხვა სასწაულიც:  
ბაკმა ქალებმა უგრძნეულად დაიხსნეს თავი,  
430 საპყრობილეში რომ ჩაჰყარე ხელფეხშეკრულნი.  
არავინ უწყის, ვით აეგდო ურდული კარებს —  
ჯანიხენენ კარნი და დიაცნი გაუჩინარდნენ,  
შორიდან გვესმა, ბრომიოსის სახელს ყვიროდნენ.  
და კიდევ ბევრი საოცრება მოგველის ალბათ;  
ჴანს, ამოდ არ მოვლენილა ეს კაცი თებეს.  
აჴ შენ განსაჯე...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ნუ გეშინით, გაუშვით ხელი.  
ვერ გამექცევა, რა ფეხმარდიც არ უნდა იყოს.

გხედავ, მშვენივრით შემოსილხარ. ვადამთიელო!  
აწ აღარ მიკვირს, რამ შეშალა ჩვენი დიაცნი —  
440 განა ამისთვის არ მოადექ შეიღბჰიან თუეს?  
წყობათა შიგან არ მოგზრდია ეგ ნაზი თმები.  
დაუღაჟა ლოყებს რომ გიფარავს ვნების აღმძვრელად;  
მზის მცხუნვარება არ უნახავს შენს მწყაზარ სახეს,  
ასე სათუთად შეგინახავს სალუქი ფერი,  
რომ აფროდიტეს ტრფიალება მოგენადირნა.  
ახლა ეს მითხარ, სით მოსულხარ, რა ტომისა ხარ?

დიონისე

არ ვიტრაბახებ, მაგრამ გეტყვი, რაკილა მკითხე:  
ნუთუ ტმოლოსი კურთხეული არა გსმენია?

პენტეესი

ის მთა ხომ არა, სარდეს ქალაქს თავს რომ დაჰყურებს?

დიონისე

450 იქიდანა ვარ, ლიდიია ჩემი სამშობლო.

პენტეესი

იქიდან მოგაქვს ნასრულობა ელადის მხარეს?

დიონისე

პე ზევსის შვილმა, დიონისემ, გამომავზავნა.

პენტეესი

განა იქ ზევსი მოგევლინათ ღმერთთა საჩენად?

დიონისე

არა, აქ იყო, აქ შეეტრფო იგი სემელეს.

პენტეესი

სიზმრად ჩაგესმა ან თუ ცხადში გემცნო ეგ საქმე?

დიონისე

ცხადში გამანდო, ორგიებიც მან შთამაგონა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ბარელამ, მამცნე, რა რიგია ეგ ორგიები!

დ ი ო ნ ი ს ე

არა ხამს ცოდნა უსრულთათვის ამა საქმისა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რა ნეტარება მიეგება მაგ ღმერთის მსახურს?

დ ი ო ნ ი ს ე

460 არც ეს არ ითქმის, თუმცა ცოდნით—საცოდნელია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კარგად მიტყუებ! ეგებ ფიქრობ, გამანასრულო?

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთის ორგია უკეთურებს არ გაიკარებს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ცხადლივ თუ ნახე, როგორია, მითხარ, ის ღმერთი.

დ ი ო ნ ი ს ე

როგორიც სურდა ყოფილიყო, არ დამკითხვია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კიდევ თვალთმაქცობ, გაურბიხარ გონივრულ პასუხს!

დ ი ო ნ ი ს ე

უგუნურთათვის ამათა ბრძნული პასუხი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მითხარ, სად გყავდა ელადამდე ის შენი ღმერთი?

დ ი ო ნ ი ს ე

ზარბაროსები აღიდებენ უკვე ბრომიოსს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ბრიყვნი არიან, არა ჰგვანან ელინთა მოდგმას.



დიონისე

470 ვის როგორ მოსდგამს — ზოგთა სიბრძნე სიბრიყვე არი.

პენთევსი

რა ღრთს მოგიხმობთ თქვენი ღმერთი, დღისით თუ ღამით?

დიონისე

მარტოდენ ღამით — ღვთაებრივი გვხიბლავს სიბნელე.

პენთევსი

და ქალებს ღიბლავთ, ინადირებთ ღამის ბადეში?

დიონისე

რა ღამე! განა ნაკლებია დღისით საცთური?

პენთევსი

ერთხილად! არ გექმნეს სანანებლად უგვანი სიტყვა.

დიონისე

შენ კი დაგლუპავს უგნურება და ღმერთის გმობა.

პენთევსი

ენამჭევრობა, მებაჯხურო, ვერას გიშველის!

დიონისე

ძითხარი ბარემ, რას მექაღი, რა განგიზრახავს?

პენთევსი

ჯერ ძირში შეგჭრი მაგ კულულენს, ნალოლიავებს.

დიონისე

480 წმიდა არს იგი, მოძიზრდია დიონისესთვის.

პენთევსი

ბერმე მაგ თირსოს ჩამაბარებ, ხელთ რომ გიპყრია.

დიონისე

თავად წამართვი, თუ შეჰბედავ დიონისეულს.

პენთევსი

ბერმე დილეგში ჩაგაყუდებ, მცველებს მიგიჩენ.

დიონისე

რაჟამს ვისურვებ, მეყსეულად დამიხსნის ღმერთი.

პენტეკსი

თუკი გელირსა მისი ხმობა ხორუმში მროკველს.

დიონისე

ხმობა რად მინდა, ის აქვეა, ჭვრეტს ყოველივეს.

პენტეკსი

რალაც ვერ ვხედავ, უხილავი გყოლია ღმერთი!

დიონისე

გვერდს მიდგას იგი, მკრეხელთათვის უხილავია.

პენტეკსი

(მხლებლებს)

შეჰკარით! ხედავთ შემაგინა მეც და თებელნიც!

დიონისე

490 ვერა, ვერ შემკრავთ უღმერთონი მე, ღმერთშემოსილს!

პენტეკსი

შეჰკარით-მეთქი! ძალმოსილი თებეში მე ვარ!

დიონისე

დაგვიწყებია, ვინ ხარ, რა ხარ, რა ბედს იმზადებ!

პენტეკსი

მე პენტეკსი ვარ, აგავეს და ექიონის ძე.

დიონისე

თავად სახელი\* მოგისწავებს ავ ბედისწერას.

პენტეკსი

კმარა! თავლაში წაიყვანეთ და იქ დააბით,  
წყვედიადის ჭვრეტით რომ თვალეზი ამოიღამოს.

\* სიტყვის თამაში: პენტოს — „უბედურება“.

დე, იქ აროკდეს, უკუნეთში, ხოლო დიაცებს,  
მისთა სიავეთ თანაზიართ, სადმე გავყიდი  
ან გადავაჩვევ დოლის ბრაზუნს, ვნებას ჩავუქრობ,  
500 მონებთან ერთად ბეჭსახეტელს მივაბამ ბაწრით.

### დიონისე

წამოვალ, გარნა არ მოხდება არმოსახდენი.  
შენ კი, დიდგულო, განმგებელო, რაკი უარჰყავ  
და შეაგინე დიონისე, უწყოდე ესეც:  
არ დააყოვნებს განგებული შენდა სასჯელი.

### მეორე სტასიმონი

#### გუნდი

#### სტროფი ა

ჰოი, ასულო აქელაოსისაო,  
ღირკეო, ნეტარო ქალწულო!  
განა შენ ღვარში არ განბანე  
ხევსის ღვთაებრივი ნაშიერი?  
510 ხაშამ მეხის ცეცხლს რომ გამოსტაცა,  
ბარკალში ჩაისვა და ეტყოდა:  
„მოდი, დითირამბო, მოდი,  
მამრის საშოში შემო, დითირამბო!  
დაე, ეს იყოს სახელი შენი,  
ამ სახელით თებებს მოევლინე!“  
შენ კი, ღირკეო, საკვირველო,  
შენს ანკარა ნაკადს არ გვაკარებ  
გვირგვინოსანთ, ფერხისაის მროკველთ!  
ოად ხელს გვკრავ, რად გაგვაქცევ?  
მტევანსავე ვენახს გეფიცები,  
520 ბაკხიეულ ღვინოს, საამურს —  
სოვალს ჟამი, ახლორეა,  
ოდეს დიონისეს შეიტკობ.

შეხედეთ, შეხედეთ, ვით განცხადდა  
 ბოროტი მოდგმა ქვეშეთისა!  
 ვით განცხადდა ღრაკონის ეშვის დანათესზე  
 პენტეესი, ექიონმა რომ შვა,  
 კაცთა უგვანმა, ქვესკნეთელმა,  
 მესისხლემ, ზეცის მოშულარმა  
 გიგანტების კვალად.

- 530 აწ ბადეს მიმზადებს,  
 დასაჭერად მექადის  
 ნოგრიალე ბრომიოსის გუნდს.  
 ოავად ორგიათა გამძლოლი  
 საპყრობილის ბნელში ჩაუკეტავს.  
 თუ ხედავ, ზეცის ნაშიერო,  
 ათუ ხედავ, დიონისევე, ჩვენს გასაჭირს?  
 აღრე მოდი, ოქროსთმიანო,  
 თირსოს კვერთხით მოგრიალევ!  
 დაეშვი ოლიმპოს მწვეგრვალიდან
- 540 მესისხლე კაცის თავხედობა დააცხრე!

ე პ ო ლ ო ს ი

- სადა ხარ, დიონისევე, სად ხარ?  
 იქნებ ნისას პოხიერ ველებზე  
 თირსოს ქნევით თიასებს უძღვები,  
 იქნებ კირიკიის თხემებზე რონინებ,  
 იქნებ პარნასის ხეებში დახვალ.  
 სადაც ოდესღაც ღვთისდარი ორფევსი  
 ხეებს აღძრავდა სიმღერის ხმაზე,  
 უსასტიკეს მხეცებს ამღოვრებდა?
- 550 პოი, პიერიავ, ნეტარო,  
 ჰატივს გდებს „ევოეს“ მაძახური.  
 შენსკენ მოდის, შენსკენ საფერხულოდ!  
 სწრაფმედონი აქსიოსის წიად  
 ჰოფერხულე მენადებს გამოირეკს;

გადმოლახავს ლიდისს, მჩქეფარეს,  
კაცთათვის მადლის მომნიჭებელს,  
ანკარა ღვართ მხარეს რომ არწყულებს,  
ცხენებით ღონიერს.

## მესამე ეპისოდორი

დიონისე

(არა ჩანს)

იო!

560 ისმინეთ ჩემი ხმა, ისმინეთ!  
იო, მენადებო, იო!

ხმა გუნდიდან

ვინ მიხმობს, საიდან მიხმობს?  
„ევოეს“ ხმაზე ვინ მიხმობს?

დიონისე

იო, კვლავ გიხმობ, იო!  
ბეაღებს და ზევსის ძე გიხმობ!

სხვა ხმა გუნდიდან

იო, წინამძღვარო, იო!  
დაუბრუნდი თიასებს, დაუბრუნდი,  
ბრომიოს, ო, ბრომიოს!

გუნდის წინამძღოლი

570 შეიძრა მიწის ფუძე, შეიძრა ქვეშეთი!  
აა, აა!  
მალე შეირყევა პენტეესის ჭერი,  
სასახლე თავზე დაემხოზა,  
დიონისე ჰგიეს სასახლეში,  
დიონისე ვადიღოთ!

## გუნდი

ვადიდებთ, ოოო!

პირველი ხმა გუნდიდან

აჰა, შექანდა სვეტის ბულაური,  
სახლითგამო კიეინებს ბრომიოს!

## დიონისე

აინთე, აბრაალდი მეხის ჩირალდანო,  
დასწვი, გადაბუგე პენთევსის სასახლე!

სხვა ხმა გუნდიდან

580 აა, აა!

ცეცხლი აბრაალდა, ცეცხლი,  
ზეხის ცეცხლი ჯერეთ დაუმცხრალი,  
სემელეს საფლავზე ზევსის დანაკვესი!  
ნიწად განერთხეთ, მენადებო, მიწად!  
ძრწოდეთ, მოცახცახე მენადებო, ძრწოდეთ!  
ჩვენი მეუფე დარბაზებს დაამხოვს,  
ზევსის ძალმოსილი ვაჟი

(შემოდის დიონისე)

## დიონისე


590 ოამ შეგაძრწუნათ, ლიდიელნო ჩენო დიაცნო?  
ბაკხოსის ხელმა მიწად დასცა პენთევსის ჭერი?  
ნურას გეშინით, მოიეცით ძალი და სიმხნე.

## გუნდი

დაგვბრუნებიხარ, თიასების დიდო იმედო!  
დაგვბრუნებიხარ ობლად შეთენილთ, მიტოვებულთ!

## დიონისე

სასო წარგიხდათ, მენადებო, უჩემოდ შეთენილთ,  
როცა წყვილიადში ვყავდი პენთევსს გამომწყვდეული?



## გ უ ნ დ ი

რა ვართ უშენოდ, ვინ დაგვიცავს, თუ არ გვეყოლე?  
გარნა.. ვინ გიხსნა, ვით დაუსხლტი ხელიდან უღვთოს?

## დიონისე

მე თავად ვიხსენ ჩემი თავი გაუჭირვებლად.

## გ უ ნ დ ი

ნუთუ ხელები ბორკილებით არ შეგიბორკა?

## დიონისე

- 600 ბარე ეწადა, შევებორკე, მაგრამ ვერასგზით  
კერ მომეახლა, თუმც ეგონა ბორკილს მადებდა.  
იმის ნაცვლად ხელში ხარი შერჩა ცნობაარეულს  
და გამწარებით ხარს დაუწყო საბელით კოჭვა.  
ოფლში გაღვრილი ბრაზით კბენდა საკუთარ ტუჩებს;  
მე წინ ვუდექი, დამშვიდებით თვალს ვადევნებდი.  
ამ დროს ბაკხოსი მოგვევლინა, სასახლე შესძრა,  
დედის საფლავეზე ცადამწვდომი ცეცხლი დაანთო;  
ცეცხლის ხილვაზე ელდა ეცა საცოდავ პენტეესს —  
ეგონა, თითქოს სასახლეში გაჩნდა ხანძარი.
- 610 შეძრწუნებულმა მონებს უხმო, ჩაქროთ ცეცხლი.  
მაგრამ ამოდ ჩაიარა მონების ჯაფამ:  
ამოდ ხაპეს წმიდა წყალი აქელაოსის.  
ძერმე, ის იყო, გონს მოეგო ანაზდეულად  
და რომ ველარსად მომკრა თვალი, ხმალამოწვდილი  
ჩემს საძებნელად გამოენთო. მაშინ ბაკხოსმა  
ჩემი ხატება გამოსახა ჭვირვალ ეთერში;  
ნივარდა აჩრდილს ბორგნეული ჩემი მესისხლე  
და გამეტებით სცა მახვილი ცარიელ სივრცეს.  
ეს არ აკმარა ბრომიოსმა, ძლიერი მკლავით
- 620 ჩამოუნგრია სახლის კერი და მის წინაშე  
ძიწად დაამხო სრა-სასახლე სვეტებიანად.  
და ამ გრიალში რა მიხილა მე უვნებელი,  
ნოტყდა პენტეესი, მოეშალა ძალი და ღონე



და ხელმოცარულს გაუფარდა უქმი მახვილი.  
ასე ყოფილა: კაცს არ არგებს ღმერთების ჯიბრი!  
მშვიდად გამოვლევ დანგრეული სასახლის ბჭენი,  
წოვედი თქვენთან... პენტევისისკენ არც მიმიხედავს.  
მაგრამ ჩუ!.. მესმის აჩქარებულ ნაბიჯების ხმა —  
პენტევისი მოდის. ხედავთ, რისხევას აუტანია!

630 რაც უნდა მითხრას, ხამს დათმენა გულისწყრომისა:  
ბრძენი კაცისგან არ ეგების სიფიცხის ჩენა.

(შემოდის პენტევისი)

### პ ე ნ თ ე ვ ს ი

უცნაურია, ვით გამიქრა თვალ და ხელ შუა  
ის უცხო კაცი, ტყვედ რომ მყავდა გამომწყვდეული!  
ოჰ, აქ ყოფილა! ეს ისაა, სწორედ ის კაცი!  
აქ როგორ გაჩნდი, სასახლის წინ? თავი დაიხსენ?

დ ი ო ნ ი ს ე

მშვიდად, პენტევისო, ნუ მრისხანებ. დაიცხრე წყრომა!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ გამოხველ ბნელეთიდან ხელფეხშეკრული?

დ ი ო ნ ი ს ე

აკი გითხარი, მიხსნის-მეთქი, დაგავიწყდაა?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ვინ? ვინ გიხსნიდა? უცნაური სიტყვები მესმის!

დ ი ო ნ ი ს ე

640 ვინც კაცთა მოდგმას მტევანსავეს ეაზი უხარა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი\*

დ ი ო ნ ი ს ე

ეს დიონისეს დიდებაა, შენ კი აგინებ.

\* დედანში ხარვეზია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ახლავ ვუბრძანებ, კარიბჭენი მაგრად ჩაკეტონ.

დ ი ო ნ ი ს ე

ცუპი საქმეა! კედლის წიაღ ვერ გავა ღმერთი?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ზრძენი ხარ, ბრძენი გარნა სიბრძნეს რაში მოიხმარ?

დ ი ო ნ ი ს ე

სად მისჭირდება, ბრძენიც იქ ვარ... აქეთ მოხედე, მწყემსი გეახლა; მაცნე თუა, მთიდან მოსული. ოალაც ამბავი მოგიტანა, დაუგდე ყური. მე განზე გავალ, არ გეგონოს, სადმე გავიქცე.  
(შემოდის მაცნე)

მ ა ც ნ ე

ზისმინე, პენთევს, მბრძანებელო თებე-ქალაქის!  
ბ50 მწყემსი გეახელ კითერონის მწვერვალებიდან, სადაც აროდეს არ დამდნარა სპეტაკი თოვლი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რაზე გარჯილხარ, რა ამბავი მოგიტანია?

მ ა ც ნ ე

ძოველ, რომ გამცნო, მეუფეო, შენ და თებელებს, მთაში ნანახი საკვირველი, უცხო ამბავი: კატყიურებულ ბაქს დიაცებს წავაწყდი მთებში, ფეხშიშველანი ქალაქიდან რომ აიყარნენ. მაგრამ არ ვიცი, როგორ გკადრო ამ ამბის თხრობა: წყვრილად მოგიყვე ყოველივე თუ დაგიმალო? რადგან მეშინის, მეუფეო, შენი წყრომიბა —  
ბ60 გულფიცხელნი ხართ ქედმაღალი ბასილევსები.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

თქვი, ნუ გეშინის, უბრალონი არ ისჯებიან. მაგრამ რაც უფრო მეტს ავს მეტყვი ბაქს დიაცებზე.

შით უფრო ავად დაისჯება მათი ბელადი,  
კინც ის ღიაცნი გადარია და ზნე უცვალა.

### მ ა ც ნ ე

- დილაადრიან, ჰელიოსის პირველ სხივებზე,  
როცა ვდენიდი საბალახოდ ძროხების ნახირს,  
ბთის ფერდობიდან ქალთა სამ გუნდს მოვკარი თვალი:  
ერთის თავმდგური დედამენი აგავე იყო,  
მეორეს ინო წინამძღვრობდა, ხოლო მესამეს —  
670 ავტონოიე, აკტეონის მშობელი დედა.  
ეძინა ყველას, ქანცმილეულთ ნეტარი ძილით;  
ზოგს ნებიერად ქვეშ დაეგო ნაძვის შტოები,  
ზოგს სასთუმალად მუხის ნედლი ფოთლები ეწყო,  
და ასე იწვნენ თვინიერნი, მოსილნი კდემით.  
შენ კი ამბობდი, თითქოს ღვინით გაბრუებულნი  
ტყე-ტყე დარბიან ვნებიანი ეროსის კვალზე.  
ამ დროს აგავე, რა მოესმა ძროხის ბღავილი,  
ფეხზე წამოხტა და ღიაცებს შეეხმინა:  
გაიღვიძეთო, ღიაცებო! — მათაც თვალთაგან  
680 გადაიყარეს ტკბილი ძილი, წამოიშალნენ  
და უცხო ხილვა მოველინა მაშინ ჩემს მზერას:  
რანოში კდემით ჩამომწკრივდნენ ბაკხი ქალები,  
მობჟენი, ნორჩნი, უხედნელნი ჯერეთ ქალწულნი!  
უკუიყარეს უხვი თმები, ტანზე მოისხეს  
ირმის ტყავები, ჭრელხატულა მათი სამოსი;  
ქამრად გველები უვნებელნი შემოისარტყლეს.  
გულზე ეხუტათ მგლის ლეკვები, ზოგს ირმის ნუკრი —  
რძეს აწოვებდნენ, ავსებოდათ ძუძუნი ისე,  
თითქოს დაეგდოთ სულ ახლახან თოთო ბავშვები.  
690 თავზე იწნავდნენ მწვანე გვირგვინს უსურვაზისას,  
მუხის ფოთლებს და აყვავებულ ურთხელის რტოებს.  
ჯხედავ, ერთ-ერთმა ქალთაგანმა თირსოს არგანი  
კლდეს დაჰკრა — წამსვე თავანკარა ამოსკდა წყარო;  
სხვამ მიწად ჩარგო აყვავებულ ნართეკის ჯოხი  
და ღმერთმა მყისვე ღვინის ღვარი ამოაჩქეფა.

სხვანი თეთრ სასმელს, ჩვილთა საზრდოს დანატრებულნი  
რძის ნაკადულებს პოულობდნენ ნაზი თითებით.  
თირსოს კვერთხიდან გოლეული მოსწევთა თაფლი.  
ნეტავ გენახა, მეფევე ჩემო, ეს სასწაული!

700

ჰოდა, რა ერთად შევიყარნეთ მენახირენი,  
ამ არნახული ამბის გამო შევეყვით ბაასს —  
თუ რა საკვირველ სასწაულის გავხდით ზოწმენი.  
მაშინ წამოდგა ერთი ვინმე ენაკვიმატი,  
ხალხში გასული და ქალაქთა ხშირი სტუმარი;  
ასე გვიჩია: ბინადარნო ამ წმინდა შოათა,  
წყეშებო, მოდით, დედოფალი მოვინადიროთ,  
ამ ბაქს დიაცებს გამოვტაცოთ პენტევის დედა,

710

შიგვართ პენტექსს, გავუხართ ბაილეებს გული.  
წვენც გვეპრიანა მისი სიტყვა და მყის ბუჩქებში  
მივიმალენით და დავუწყეთ ლოდინი ქალებს.  
და, აჰა, დადგა ორგიების დათქმული ჟანი  
და დიაცებმაც თირსოები აახვალრეს,  
ერთხმად მოუხმეა ზევისს ნაშობს — იაკხოსს, ბრონიოსს:  
მთამ ბანი მისცა მათ დაძახილს, ატყდა ყიყინა.  
იძრა ნადირი და ყოველი სულდგმული ტყინა.  
ამ დროს აგავემ ჩამირბინა როკვა-თაშაშით,  
ნეც გავუქანე დასაქერად, ამოცდა ხელი...

720

ჰკივის აგავე: ჰე, ძაღლებო, ჩემო ძაღლებო,  
ხომ ხედავთ, ავი კაცისშვილნი გვინადირებენ!  
აბა, მომყვით თირსოს ქნევით, მომყვით ყველა!  
წვენაც დამფრთხალნი გავიქეციოთ და თავს ვუშველეთ,  
თორემ დავგვლუჭდნენ უეჭველად ბაქსი დიაცნი.  
იქვე მწუანეზე მობალახე ნახირს მივარდნენ —  
განა თუ ჰქონდათ ბასრი რკინა, არა, ფრჩხილებით  
სავსე ჭიქნები დაუფატრეს მბლავანა ფურებს.  
სხვებმა ხბორები ნაკუწებად აქციეს, ირგვლივ  
დაინახავდი მიყრილ-მოყრილ ფერდებს და შიგანს,

- 730 ნაძვის ტოტებზე სისხლმდინარე ეკიდა ხორცი...  
 ხოლო ხარები ქედმაღალნი, ადრე რომ რქებით  
 იმუქრებოდნენ, უსასოოდ ეყარნენ მინდვრად  
 და ისე სწრაფად ატყავებდნენ მარდი ქალწულნი.  
 რომ შენს ხელმწიფურ წამისყოფას ვერ მოასწრებდი.  
 მერმე დაიძრნენ, ფრთოქსნებივით შეინავარდეს,  
 გაჰყვენ ასოპის ნაპირებზე ატეხილ ქალებს,  
 გადაიქროლეს აქოჩრილი ოქროყანები,  
 წვიდბჭიან თებეს მოქალაქეთ რომ აპურებენ.  
 მისწვდნენ ერთთრას, კითერონის ძირში მდებარეს,
- 740 მერმე ჰისია მოარბიეს დედაბუღიან  
 და სახლებიდან გაიტაცეს ჩვილი ბავშვები.  
 რაც მოიხელთეს, ყველაფერი მოიგდეს ზურგზე,  
 ჯიქურ სრბოლაში ფიორიც კი არ დავარდნიათ —  
 არცა ბრინჯაო. არცა რკინა. გაწეწილ თმაში  
 ცეცხლის ენები ბრიალებდა, არ კი ეწვოდათ.

მამინ გააუდნენ დარბეული მდაბიორები,  
 ხელში აიღეს საჭურველი და მიეტევენ.  
 აი, სად ენახეთ სასწაული, დიდო ძეუფეე!  
 განა თუ ვინმე დაუკოდაეს მათ წვერმას შუბებს!

- 750 ხოლო ნართეკმა, გატყორცნილმა დიაცთა ხელით  
 ნრავალი დასჭრა და დამფრთხალი უკუაქცია.  
 ასე დაჯაბნეს დიაცებმა გულადი მამრნი.  
 არა, მეფეო, ლეთისგან იყო ეს სასწაული!

მერმე გაბრუნდნენ, მიაშურეს თავიანთ სადგურს,  
 რქ, სადაც ღმერთმა წყაროსთვალი ამოუჩქედა.  
 ჩამოირეცხეს სხეულიდან შემხმარი ჰისხლი,  
 დაწვებს გველები ულოკავდნენ ორკაპი ენით.  
 ო, ღმერთი იგი, მბრძანებელო, ვინც უნდა იყოს,  
 დიდი ყოფილა! დაამკვდრე თებე-ქალაქში!

- 760 სხვა მადლთან ერთად იმა ღმერთმა, როგორც შევიტყვეთ,  
 კირთუქუმყარელი ყურძნის წვენი აღმოგვიჩინა.

რაა უღვინოდ კაცთა ყოფა, ან ტრფობის გარე,  
სხვა რა სიამე დარჩენია გატანჯულ მოდგმას!

### გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

ვერ გამიბედავს, ბასილევის ნებას აღვუდგე,  
გარნა, ხამს, წრფელად მოვახსენო გულისპასუხი:  
სხვა ღმერთზე მცირე როდი არის ყრმა დიონისე!

### პ ე ნ თ ე ვ ს ი

პა, შემოგვადგა, შემოგვენთო ვით ცეცხლის ალი  
ბაკზ დიაცების თავხედობა, ცოფი, სიგიჟე...  
სირცხვილი ელინთ! არ ეგების აწ დაყოვნება.

(მხლებლებს)

- 770 პეი, საჩქაროდ მიაშურეთ ელექტრას ჭიშკარა,  
უბრძანეთ ყველას, ვინც კი არის ფარშუბოსანი,  
სწრაფმავალ მხედრებს მოუწოდეთ, ან ვისაც შვილდის  
ლარი უსინჯავს, აამხედრეთ ერთობლივ ყველა.  
დაე, დალაშქრონ დახელთილი ბაკზი დიაცნი,  
თორემ სულ მალე შეიშლება თებე-ქალაქი,  
თუკი დაუთმეთ ქალებს, როგორც ადრე ვუთმენდით.

### დ ი ო ნ ი ს ე

არ დაიჯერე, თუმც გესმოდა ჩემი სიტყვები;  
ავად მომეპყარ, მაგრამ უნდა გირჩიო მაინც:  
ღმერთს მოერიდე, არ გაგივა ღმერთთან მახვილი.

- 780 დაიცხრე რისხვა, ბრომიოსი როდი მოითმენს,  
რომ მენადები მთებს მოსწყვიტო დიონისიურს.

### პ ე ნ თ ე ვ ს ი

არ დაგკარგვია, უცხო კაცო, რჩევის ხალისი?  
ეგების ფიქრობ, გადაურჩე ახლაც ბორკილებს?

### დ ი ო ნ ი ს ე

მაგ რისხვას სჯობდა, დაგელვარა ამო საღვრელი.  
გულს რას აწყდები, რას გახდები ღმერთთან მოკვდავი?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

უხვად დავუღვრი გახელებულ დიაცების სისხლს,  
როცა ომს ავტებ კითერონის დაბურულ ხევში.

დ ი ო ნ ი ს ე

უკუიქცევით, და დარჩები სირცხვილეული,  
თირსოს შუბებით როცა ფარებს შევიმუსრავენ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

790 ამაოდ ვდავობ ამ ჟინიან გადამთიელთან,  
არ მოელლება მჭრელი ენა, არ დაიდუმებს.

დ ი ო ნ ი ს ე

მოყვასო, კიდევ დაგრჩენია ქამი ფიქრისა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ? ჩემს მხევლებს თებეს მეფე მონად გავუხდე?

დ ი ო ნ ი ს ე

ბაკხი დიაცნი უბრძოლველად რომ მოგიყვანო?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

და შემიტყუო დასალუბად დარწყულ მახეში?

დ ი ო ნ ი ს ე

ნურა გაშფოთებს, მარტოოდენ შენი შველა მსურს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ათქმით შეკრულხართ, დღენიადაგ რომ იბაკხუროთ.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთს შევეკარი. ეს უწყოდე: ღმერთია იგი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კმარა, დადუმდი! მომიტანეთ ჩქარა მახვილი!

დიონისე

800 ვაგლახ!..

თუ ისურვებდი, თიასები თვალით გეხილა?

პენთევსი

ვისურვებდიო? დიდძალ ვერცხლსაც გადავიხდიდი.

დიონისე

რამ აგიტანა, რად შეგიპყრო ანაზღად ვნებამ?

პენთევსი

ჯაერი მაქვს, ჯაერით ვიხილავდი ღვინით გამტყვრალებს.

დიონისე

და საჯავრებელს სიხარულით იხილავ მაინც?

პენთევსი

შენ თავად ნახავ, გატრუნული ვიჯდები ფიჭვექვეშ.

დიონისე

გეშს აილებენ, რაზომც მალვით არ მიეპარო.

პენთევსი

მაშ, ჭიჭურ მივალ, დასანახად გავუცხადები.

დიონისე

მაშ, წაგიყვანო? დაადგები მთებისკენ ბილიკს?

პენთევსი

810 აბა, ვიჩქაროთ! ლოდინისგან სული მეღვევა.

დიონისე

ოლონდ პებლოსი მეწამული უნდა ჩაიცვა.

პენთევსი

პებლოსი? რისთვის შევიმოსო დიაცის კაბა?

დიონისე

რათა არ მოგკლან. მამაკაცებს არ გაირევენ.

პენთევსი

ქეშმარიტს ამბობ. გამჭრიახი იყავი ადრეც.



დ ი ო ნ ი ს ე  
თვით დიონისე გახლავს ჩვენი მოძღვართ-მოძღვარი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
მაშ, მეც დამმოძღვრე. უმჯობესი მირჩიე რჩევა.

დ ი ო ნ ი ს ე  
თავად მე მოგრთავ. ჭერ შევიდეთ შიდა პალატში.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
ღიაცებრ მომრთავ? სააუგო საქმეს მიპირებ?

დ ი ო ნ ი ს ე  
ნუთუ აღარ გსურს მენადების დასი იხილო?

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
820 როგორ თქვი წელან? რა სამოსი უნდა ჩამაცვა?

დ ი ო ნ ი ს ე  
გრძელი პეპლოსი, კოჭებამდე, თავზე ჩიქილა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
რას დამიმატებ, მორთულობად განა ეს კმარა?

დ ი ო ნ ი ს ე  
თმას გაგიშლი და მაგ ხელმწიფურ მხრებზე დაგიფენ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
განა ამის მეტს აღარაფერს არ დამიმატებ?

დ ი ო ნ ი ს ე  
ხელთ თირსოზ მოგცემ, ირმის ქათიბს წამოგახურავ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
არა, არ ძალმიძს გამოწყობა ქალის კაბაში!

დ ი ო ნ ი ს ე  
მაგრამ სისხლს დაღვრი, თუ მენადებს ომს გაუმართავ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
ეგ მართალია. ჭერეთ მათი დაზვერვა მმართვეს.

დ ი ო ნ ი ს ე  
ასე აჯობებს. ბოროტით კი მოიმკი ბოროტს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი  
830 როგორ გავიდე ქალაქიდან შეუმჩნეველი?

დ ი ო ნ ი ს ე  
უკაცრიელი გზებით გავალთ. მე გიწინამძღვრებ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ეს მიჯობს, ვიდრე გამამასხრონ ბაკხმა ქალებმა.  
მაშ, შინ შევიდეთ და განვსაჯოთ, როგორ მოვიქცე.

დ ი ო ნ ი ს ე

ნება შენია... მე მზადა ვარ შენს სამსახურად.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

აჰა, მივდივარ. იქ გადავწყვეტ, რა გზას დავადგე —  
შევიბა ხმალი თუ სარტყელი სადედაკაცო.

(პენთესი სასახლეში შედის)

დ ი ო ნ ი ს ე

ხედავთ, დიაცნო, გაეხვია კაცი ბადეში —  
ბაკხებთან მიდის, სადაც ცხადი სიკვდილი ელის.

- 840 პე, დიონისევ, აწ შენზეა, შორს ხომ არა ხარ,  
მივაგოთ შური ჩვენს მოშულარს! გონი აჰხადე,  
მოჰგვარე ბინდი და სიგიჟის ტკბილი ბურანი,  
რაკი საღ გონზე დიაცურად არ მოიერთვება.  
ნახეთ, თებელთა სასეირო შეიქნეს იგი,  
ქალურ მავალი შვიდბჭიანი ქალაქის წილ,  
ადრე რომ ყიფით და გოროზად მემუქრებოდა!  
წავალ, მოკვაზმავ უნატიფეს სამკაულებით;  
დაე, მოკლულმა დედის ხელით თან ჩაიყოლოს  
ჰადესის სახლში. დე, გაიგოს თებე-ქალაქმა,  
რომ სასტიკია დიონისე, შვილი ზევსისა,  
850 ხოლო მორჩილი კაცთა მოდგმის—კეთილისმდომი.  
(შედის სასახლეში)

მესამე სტასიმონი

გ უ ნ დ ი

ს ბ რ ო ზ ი ა

ნუთუ ფეხშიშველნი კვლავაც ვიროკებთ  
ლამის ხორუმებში, ბაკხით დახელთილნი?  
ნუთუ კვლავ ოდესმე ცვრიან ეთერიანკენ

ველმოღერებით შევარხვეთ თირსოს?  
ნუთუ კვლავ ბიბინა ველებზე  
გავიჭრებით კუნტრუშა ირმისებრ?  
ოდეს მახეებს თავდალწეული  
გაურბის საშიშ მონადირეთ,  
მარეკები ყიჟინით მისდევენ,  
860 გახლებულ მწვევრებს მიუსევენ;  
ნიჰქრის ქარივით ირემი, მიჰქრის,  
მიგელავს ფეხმარდი, გაივაკებს,  
ვადაიქროლებს წყლისპირა ფშანებს,  
მიაშურებს ახოს, ხშირჩრდილიან  
ტყეა დანატრებული, მწყურვალე  
სიმარტოვისა კაცთა კიდევან.

სად არის სიბრძნე? სად უფრო მშვენობს  
კაცთა მომართ ღვთიური მადლი?  
იქ ზომ არა — არესის ველზე,  
870 ოდეს გამარჯვებულ მარჯვენას  
მტერს თავზე დავადებთ?  
მშვენიერი გვეთნევა მუდამ!

#### ანტიბროფი ა

მძიმედ იძვრის, მძიმედ მოაბიჯებს,  
გარნა ჯიუტად, მტკიცედ ახლოვდება  
ღვთიური განგება.  
დაუსჯელად არავის დასტოვებს,  
საკადრის მიაგებს კაცთა სიჯიუტეს —  
უგუნურს, უგუნურის განზრახვით  
ღმერთების მეტოქეს.  
880 განზრახ ანელებს ღმერთი ჟამთაღენას,  
ღვენის, და, ბოლოს, მისწვდება უთნოს.

დადგინებულ წესთა უკეთესის  
არა ხამს ფიქრი და ძიება.

შეიგნე, მოკვდავო, გულში ჩაიბეჭდე  
აღვილსაცნობელი ესე:  
ძლიერ არს ღმერთი, ძლიერია  
წესი დროისა უხსოვარის,  
ბუნების გულში ჩაფესვილი.

- 890 სად არის სიბრძნე? სად უფრო მშვენობს  
კაცთა მომართ ღვთიური მადლი?  
იქ ზომ არა — არეის ველზე,  
ოდეს გამარჯვებულ მარჯვენას  
მტერს თავზე დაეადებთ?  
მშვენიერი გვეთნევა მუღამ!

### ეპოლოსი

- ნეტავ მას, ვინაც თავი დააღწია  
ზღვას აბოზოქრებულს, ქარიშხლიანს,  
მიადგა მყუდრო ნავსაყუდელს!  
ნეტავ მას, ვინაც განააცდელს სძლია!  
900 ზოგს ბედი უხვად აჯილდოვებს,  
ზოგს ხელს მოუცარავს საწუთრო;  
ბევრი იმედი კეთილად ახდება,  
ბევრი იმედი ცრუედება ფუჭად.  
ნეტავ მას, ვინაც უშფოთველად  
წუთისოფლის განლია დღენი!

### ჯეოთხე მაისოლიონი

(შემოდის დიონისე)

### დიონისე

- ეჰა, არსაწადელ ხილვის მოწადინევ,  
პენტევისო, ნატვრად უამურის მოსწრაფევ,  
გამოდი სახლის წინ, გამომეჩვენე,  
მენადების სამოაით რომ მოსილხარ  
910 და ღვიძლი დედის ზვერვად ეპირები!  
(შემოდის პენტევისი)

ო, როგორ ჰგავხარ ანაგებით კადმოსის ასულს!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ასე მგონია, ორი მზე მინათებდეს,  
ორ თებეს ვხედავდე, ორ შვიდბჭიან ქალაქს...  
ხარად ჩენილი ვინ ხარ ჩემს წინაშე,  
თავზე ორი რქა რომ ამოგზრდია?  
იქნებ კაცი არც ყოფილხარ აღრე?

დ ი ო ნ ი ს ე

აწ ღმერთი გვახლავს, აქამდე რომ არა გვეწყალობდა;  
შემოგვირიგდა. ახლა ხედავ ნამდვილ სახილველს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

920 მე ვინად ვჩანვარ, უცხო კაცო, ვის მიმამსგავსებ,  
დედისდას ინოს თუ ღვიძლ დედას ჩემსას, აგავეს?

დ ი ო ნ ი ს ე

ორთავე მათგანს მიგამსგავსებს შენი მჭვრეტელი.  
მაგრამ ეს რაა? ჩამოგშლია ვარჯები შუბლზე —  
განა მე წელან ჩიქილაში არ ჩაგიმალე?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

იქ, სასახლეში, ჩამომშლია შეკრული თმები,  
ბაკხურ დიაცთა წამბაძავი როცა ვროკავდი.

დ ი ო ნ ი ს ე

რაკილა ერთხელ გადავწყვიტე, მეზრუნა შენზე,  
ახლაც გიშველი. აბა, სწორად დაიჭი თავი!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჰა, გამისწორე. შენს ხელთა ვარ, სხვა გზა არა მაქვს.

დ ი ო ნ ი ს ე

930 ხედავ, სარტყელიც მოგშვებია; ხოლო პეპლოსი  
თანაბრად აღარ გეფინება თეძოებს ქვემოთ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კარგად შემნიშნე. შეკმუჭვნილა მარჯვენა მხარე,  
ხოლო მარცხნივ კი კოჭებამდე ეშვება კაბა.

დ ი ო ნ ი ს ე

არ შემიტკობდნი უძვირლასეს მოყვასის დარად,  
რომ თვინიერნი დაგენახა ბაკხი ქალები?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მითხარი ბარემ, რომელ ხელში მეჭიროს თირსო,  
მენადღებისგან რომ ვერავინ ვერ გამარჩიოს?

დ ი ო ნ ი ს ე

მარჯვენით იპყარ, თან მარჯვენა ფეხი აქნიე!  
ქების ღირსი ხარ, რომ გონება გადაგიბრუნდა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

940 აბა, თუ შეძლებ, კითერონი ზურგზე მოვიგდო,  
მთელი ტყიანად და იმა ბაქს დიაცებითურთ!

დ ი ო ნ ი ს ე

შეიძლებ, აუკი მოიპურვე. ადრე გონება  
არ გქონდა საღი, ახლა ასწილ გაჰჭირახი ხარ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

შენ როგორ ფიქრობ, ძალაყინი არ დამჭირდება?  
იქნებ ხელებით ამოვძირკვო საფუძველითურთ?

დ ი ო ნ ი ს ე

ნუ აწყენ ნიმფებს, ნუ მოუშლი მყუდრო სავანეს,  
და პანის ხმატკბილ სალამურებს ნუ დაადუმებ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კეთილად უბნობ! არ დავჯაბნი მძლავრობით ქალებს,  
სადმე ნაძვებში მიმალული გავირინდები.

დ ი ო ნ ი ს ე

950 ჰო, გაირინდე, გაინაბე, თვალი არ მოგკრან,  
რაკი მზაკვრულად ეპირები ბაქხების ზვერვას.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშინ მიყურე, როს ანაზდად თავს დავაცხრები  
და ჩიტებივით გამოვიჭერ განცხრომაში მყოფთ!

დ ი ო ნ ი ს ე

განა ამისთვის არ მიდიხარ მალულად მზაში?  
დასტურ შეიპყრობ, თუ მანამდე შენ არ შეგვიპყრეს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშ, წამიყვანე შეიღბქიანი ქალაქის წიალ!  
ერთადერთი ვარ, ვინც შეპყდა ეუბგვარ საქმეს!

დიონისე

ერთადერთი ხარ, თებესათვის მხოლოდ შენ ზრუნავ.  
ბრძოლა მოგელის სასტიკი და აუცდენელი!  
უკან მომყევი, წინამძღოლი ვიქნები სანდო.

960. ხოლო იქიდან სხვა მოგიყვანს...

პენთეესი

მშობელი დედა?

დიონისე

ჰო, ყველას თვალწინ...

პენთეესი

ამისათვის მივდივარ სწორედ.

დიონისე

ხელში აყვანილს...

პენთეესი

ნებიერი ვიყავი მუდამ.

დიონისე

მოგიყვანს დედა.

პენთეესი

ფუფუნებას მპირდები განა?

დიონისე

ჰო, ფუფუნებას, სწორედ ისეთს...

პენთეესი

რისიც ღირსი ვარ!

დიონისე

ღირსი ხარ, ღირსი და ღირსივე მოგელის წერა,  
ცად აიწევა საკვირველი შენი სახელი!

(პენთეესი გადის)

განაპყარ ხელი, ჰე, აგავევ, თქვენც მისნო დასნო!  
ეჰა, ააულნო კადმოსისა! საომრად მიმყავს  
კაბუკი მეფე... მე ვიქნები გამმარჯვებელი

970 და ბრომიოსი. დანარჩენი თავა იჩენს თავად.

(გადის)

გუნდი

სტროფი ა

მიდით, ძაღლებო, ლიასა\* ძაღლებო,  
 მთას შეესიეთ, ფეხმარდებო!  
 იქ ფერხულობენ კადმოსის ასულნი.  
 მიდით, მიესიეთ დიაცებრ მოკაზმულს,  
 მენადების ზვერვად რომ მოსულა!  
 ჯერ დედა, კლდიდან მომზირალი,  
 თვალს მოჰკრავს მსტოვარს, ჩასაფრებულს,  
 მენადების კრებულს შეუძახებს:  
 ვინ არის, ნეტავ, ეს კადმოსიანი,  
 980 მსტოვრად რომ მოდის დილაადრიან?  
 მთისკენ რომ მოდის, მენადებო, მთისკენ,  
 ვიპი ნაშობია ნეტავ?  
 ნაყოფს არა ჰგავს დიაცის სისხლისას,  
 ლომის ბოკვერია ალბათ,  
 ანდა ლიბიელ გორგონების ნაშობი.

მოვედ, სამართალო, განცხადდი!  
 მოვედ, ხელმახვილიანო, მოვედ!  
 ყელი გამოსჭერ უღვთოა, უსამართლოს,  
 ექიონის ნაშიერს!

ანტისტროფი ა

მოდის უკუღმართი ზრახვით აღსავსე,  
 მოდის მზვაობარი, გაგულიწებული,  
 ბაკხოს, შენი და დედაშენის ორგის  
 ცნობაარეული საზვერად მოდის,  
 უძლეველის ძლევად ეპირება!

\* ლისა (Λίσσα)— ცოფის, სიბრაზის განსახიერება.



- ნეტავ მას, ვისაც თვინიერი  
 ზრახვანი ცისკენ მიუმართავს —  
 წუთისოფელს უმფოთველად განვლია!  
 არა მშურს სიბრძნე კაცებრივი,  
 სხვა წმიდა მადლი მიმიზიდავს,  
 1000 ველტვი სხვა სიკეთეს:  
 დღე ცისმარე სუნთქვა წამიერი  
 მსხვერპლად შეეწიროს უკვდავთა ნებას;  
 არა დავდგე უკულმართთა გზაზე,  
 უკვდავთა მახლდეს შიში და რიდი.  
 მოვედ, სამართალო, განცხადდი,  
 მოვედ, ხელმახვილიანო, მოვედ,  
 ყელი გამოსჰქერ უღვთოს, უსამართლოს,  
 ეჭიონიზ ნაშიერს!

### ე პ ო ლ ო ს ი

- ხარად გამოცხადდი, რქადასხმულ  
 1010 ანუ მრავალთავა ურჩხულად გვეჩვენე,  
 ანუ ლომად ცეცხლოვანად გამოჩნდი!  
 მოვედ, ბაქოს, მენადების მარეკო,  
 პირმცინარემ ბადე მიუსროლე —  
 დამლუპველი სათხეველი —  
 მენადების გუნდში შემოპარულს!

## მეხუთე პაისოდიონი

(შემოდის მაცნე)

### მ ა ც ნ ე

- ო, ძველო სახლო, ბედნიერო მთელს ელადაში,  
 სახლო სიდონელ ბერიკაცის, ვინაც დათესა  
 ურჩხულის ეშენი და მოისთვლო ურჩხულთა მოდგმა!  
 დიდად მანალვლებ, თუმც მონა ვარ, გარნა მონათაც  
 1020 ხამს მბრძანებელთა მწუხარება გაიზიარონ.

გუნდის წინამძღოლი  
რა მოხდა, კაცო? ბაჯე ქალებზე ახალს რას იტყვი?

მაცნე

გესმათ, პენტევის დაილუპა, ექიონის ძე!

წინამძღოლი

დიდ ღმერთად გაჩნდი, წინამძღვარო ჩვენო, ბრომიოს!

მაცნე

ამას რად იტყვი, დედაკაცო! ნუთუ გახარებს  
შვიდბჭიან თებეს მბრძანებელთა უწყალო ხვედრი?

წინამძღოლი

აწ კი ნებისად ვიყიენებ, „ევოეს“ ხმაზე,  
რაკი ხუნდები, შემხუთველი, აღარ მაშინებს!

მაცნე

უმამროდ როდი დარჩენილა თებე-ქალაქი!

წინამძღოლი

თებე როდი მყავს მბრძანებელად! დიონისეა,  
დიონისეა ჩემი ღმერთი და წინამძღვარი!

მაცნე

გეპატიებათ, დიაცებო. გარნა არა ხამს.

კაცის სიკვდილი, ეგზომ მწარე, რომ გჩხაროდეთ.

წინამძღოლი

გვაუწყე ბარემ, რა სიკვდილით მოკვდა პენტევის,  
1030. ის უღვთო კაცი, ღვთიურ ნების უარყოფელი!

მაცნე

როგორც კი გავცდით შვიდბჭიანი თებეს სანახებს,  
აოპის წყალი გადავლახეთ, ნათელმედინი.

მერმე ავეყვით კითერონის ციცაბო კალთებს —

სამნი ვიყავით — მე, პენტევისი და უცხო კაცი,

ვინც ორგიების სანახავად აგვიყოლია.

გამოხდა ხანი, მივადექით ხასხასა მდელოს,

ხმაგაკმედილნი ჩამოვსხედით, რომ უხილავებს

თავად გვეხილა საკვირველი სანახაობა.

1040 შორით მოჩანდა მოჩრდილული ნაძვებით ახო,  
კლდით მოზღუდული, დაღარული ნაკადულებით;



მწვანეზე ისხდნენ მენადები, საქმიანობდნენ —  
ზოგი თირსოზე კვლავ აწნავდა დაცვენილ სუროს,  
სხვანი უხედნელ კვიციბივით გალაღებულნი  
ერთიმეორეს გასაბახოდნენ ბაკხურ სიმღერებს.  
მაგრამ პენტევისმა დაბინდული მზერა ვერ ჰკიდა  
ღიაცთა გუნდებს და ამგვარად მიმართა გამძლოლს:  
ჰე, უცხო კაცო, ამ საფრიდან თვალს ვერ მივაწვდენ  
იმ ცრუ მენადებს, იქნებ სადმე ბორცვზე ავიდე,

- 1050 ან დამიგულე ცადაწვდილი, მალალი ნაძვი —  
მალლიდან უკეთ გამოჩნდება მათი სირცხვილი.  
მაშინ ვიხილე სასწაული ჭერარნახული,  
რაიც მეგზურმა ჩვენს თვალთა წინ მოიმოქმედა:  
მოძებნა ნაძვი ტანკენარი, ცადაშოლტილი,  
ტოტს მოეჭიდა არკაცული ძალით მოზიდა,  
ძირს დაითრია, დაითრია და როგორც შვილდი,  
ისე მოდრიკა ცადაწვდილი ხის წვეროკინი;  
მიწად დაღუნა — ღვთაებრივი ერჩოდა ღონე.  
დასვა პენტევისი ნაძვის ტოტზე და ნება-ნება
- 1060 შეუშვა ხელი, რომ თანისთან ამართულიყო:  
ხე აიწვავდა, კვლავ შეერთო ჰვირვალე ეთერს  
მის კენწეროზე მოქცეული ბასილევსითურთ.  
მაგრამ, ვაი რომ უფრო ადრე იქნა ხილული,  
ვიდრემდის თავად იხილავდა მენადების გუნდს!  
ვერც კი შევასწარ ცადატყორცნილ მბრძანებელს თვალს,  
რომ უცხო კაცი მეყსეულად გაუჩინარდა.  
მერმე მოისმა ზეგარდამო მძლავრი ძახილი —  
ასე იზახდა (ღიონისე თუ იყო თავად):  
ეჰა, ღიაცნო, მოგიყვანეთ თქვენი მესისხლე,
- 1070 ვინც ჩემს ორგიებს დასცინოდა. მიაგეთ შური!  
ეს გავიგონე და ანაზღად ცის წიაღიდან  
მიწად დაეშვა ღვთაებრივი, უცხო ნათელი.  
გაყუჩდა ირგვლივ არემარე, ტყე დამყუდროვდა,  
შეწყდა ნადირთა ჩამიჩუმი, ფოთლების ჩქამი...  
ბრძოლის ხმა ბაკხ დიაცებს ჩაესმათ ბუნდად,  
ყურები ცქვიტეს, აქეთ-იქით აპყრობდნენ მზერას.

- ელავ რა მოუხზო დიონისემ და ეცნაურათ  
 კადმოსის ასულთ დაძახილი მათი ღმერთისა,  
 წამოიშალნენ, ფრთოსნებივით შეიფრთხიალეს,  
 1080 შეიბეს ფრთები ქედნებისა, დაჰკარეს ყიყინა,  
 მიჰყვენენ ღმერთის ხმას ღმერთის სუნთქვით  
 დახელთილები —  
 დედა აგავე, დანი მისნი და ყველა ბაკხი.  
 განა თუ მიწას დააკარეს მარდი ფეხები —  
 თვალშეუსწრებლივ გადაეველნენ მჩქეფარე ნაკადას.  
 ნაძვზე შემომკდარ ჩემს მბრძანებელს რა მოჰკარეს თვალი,  
 აცვივდნენ კლდეზე, გოდოლივით რომ აწვდილიყო,  
 და მთელი ძალით დაუშინეს ქეები და ღორღი,  
 ნაძვის ტოტები, თირსობებიც არ დაიშურეს —  
 ყველას პენთევსი გაეხადა ბედკრულ სამიზნედ.  
 1090 მაგრამ ვერ მისწვდნენ, წვეროკინი მალალი იყო.  
 ხოლო პენთევსი, განწირული და უსასოო,  
 მიუუყულიყო, ჩავარდნოდა შიშისგან ენა.  
 ზერმე ბერმუხას მოამტვრიეს მსხვილი ტოტები,  
 რომ ხის კეტებით ნაძვიან ძირი ამოეძირკვათ.  
 რა ვერას გახდნენ, ასე უთხრა ქალებს აგავემ:  
 მოდიო, ქალებო, მოვეჭიდოთ ამ ნაძვის ღეროს,  
 ძირს ჩამოვაგდოთ ეს ნადირი, ხეზე ამძვრალი,  
 რათა არ გათქვას საიდუმლო ორგეებისა.  
 და შემოეჭდო ნაძვის ღეროს ურიცხვი ხელი,  
 1100 მაგრად მოსწიეს, შეანჯღრიეს და ამოძირკვეს.  
 შექანდა ნაძვი და პენთევსიც ვაით და ვიშით  
 ძირს გადმოეშვა ხის წვეროდან; მაშინლა მიხვდა,  
 რომ ახლოს იყო საზარელი დაღუპვის ქამი.  
 პირველ აგავე, ღვიძლი დედა, მიეჭრა ზორვად;  
 მან კი, ბედკრულმა, გადაიძრო ქალის ჩიქილა,  
 რომ ეცნო მშობელს თვისი პირმშო და არ დაეკლა.  
 ევედრებოდა, უფერებდა ლაწვებზე დედას —  
 მე ვარო, დედი, შენი შვილი, შენი პენთევსი,  
 არ გახსოვს განა, ექიონის სახლში რომ მშობზე?  
 1110 შემობრალეო, დედაჩემო, ამ ცოდვის გამო

ნუ დამლუპავო შენს ნაშიერს! — მაგრამ აგავე,  
პირდორბლიანი, თვალებს ავად აყვრიალეზდა,  
გონს ვერ მოეგო, გაავცნობდა, ვერ იცნო შვილი,  
რაკი ბაკხოსმა დაუბნელა სრულად გონება.

ექვერა პენთევსს, ხელი სჭიდა მარცხენა მკლავში,  
ფეხი ნეკნებზე მიაბჯინა იმ სვეუბედურს;

მკლავი მოგლიჯა — უცნაური ჩადგმობდა ძალა;

ჩანდა, ღვთაება ყოვლისშემძლე შეეწეოდა.

ინოც იქ იყო — დახელთილმა მეორე მკლავი

- 1120 ტანს აახლიჩა; მიესივნენ ბაკხი დიაცი, დაცეს ყიჟინა ერთობლივი, შესძრეს მიდამო, კვნესოდა ჩემი მბრძანებელი, ვიდრელა სული სხეულში ედგა: დაჰკიოდნენ სულთმობრძავს თავზე. ერთს მისი მკლავი დაეთრია, მეორეს — ფეხი, ფერდებს ძვალ-რბილი აახლიწეს და სიახლიანი ფრჩხილებით ფლეთდნენ საცოდავი პენტევისის სხეულს.

ასე აკუწეს ასო-ასო და მიმოფანტეს

ტყეში და ღრეში — ძნელი გახდა მათი მოძებნა.

ხოლო დედამისს, გაშმაგებულ აგავეს, წილად

- 1130 ერგო საბრალო მისი თავი, ხელი დაატაცა ნართეკის წვერზე წამოაგო ლომის თავივით და ამ ნადავლით წამოვიდა კითერონიდან. დასტოვა დები გახელებით მოფერხულენი. თავად მოილტვის თებესაკენ ამ უბედური ნანადირევით მოქადული, გამყვიანი ხმით მოუხმობს ბაკხოსს, ნადირობის შემწეს, მეწილეს და გამმარჯვებელს, ვინაც ცრემლი მოუნადირა. მე კი... შორს წავალ, გვეცლები ამ ცოდვის კითხვას, ვიდრე აგავე მოალწევდეს ქალაქის კედლებს.

- 1140 თვინიერება და ღვთის შიში ყველაფერს მიჯობს:  
ხამს, მოკვდავ კაცთა დაიმარხონ ეს წმიდა მცნება.  
(გადის. გუნდი როკავს და მღერის გამარჯვების სიმღერას)

გუნდი

ვადიდოთ ხორუმებში ბაკხოსი,

დიონისე ვადიდოთ!

ვახაროთ პენტევის სიკვდილი,  
ურჩხულთა ნაშიერის ბოლო!  
ღიაცებრ მოსილი, ხელთირსოიანი —  
საჰადესო ნართეკით —  
ხარს წაჰყვა რქადასხმულს  
შავეთის გზაზე.

- 1150 ჰე, ბაკხო ღიაცნო, კადმოსის ასულნო,  
გამარჯვების ვაშა დაგიარულდათ  
მოთქმით და გოდებით!  
ვაგლახ, ძის სისხლით შეიბღალა  
თეთრი ხელები მშობელი დედის!

## ე კ ს ო ღ ო ს ი

გ უ ნ დ ის წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

ვხედავ, აგავე მოიჩქარის სასახლისაკენ,  
პენტევის დედა, თვალშეშლილი და მოყიფინე.  
აჰა, მორბიან მენადებიც, მიეგებენით!  
(შემოდის აგავე ბაკხი ქალების თანხლებით, მაღლა  
აღუმართავს თირსოზე წამოგებული პენტევის თავი)

ა გ ა ვ ე

ჰეი, აზიელო მენადებო!

გ უ ნ დ ი

რად გვიხმობ?

ა გ ა ვ ე

- 1160 მთებიდან მომაქვს, მომიტანია  
ახლადნაკაფი სურო სასახლეში —  
ბედნიერი ნანადირევი!

გ უ ნ დ ი

ვხედავ, მიგვილიხარ თანამერევედ.

ა გ ა ვ ე

განა თუ ბადე მომიხმარია!  
ხელით შევიპყარ ლომის ბოკვერი.

გუნდი  
რომელ უდაბნოში?..

აგავე  
კითერონს...

გუნდი  
რა მოხდა კითერონს?

აგავე  
იქ მოკლეს...

გუნდი  
პირველ ვინ დაკოდა?

აგავე  
ჩემია ჯილდო.

1170

გუნდი  
ნეტარ ხარ, აგავე!

აგავე  
თიასებში განვითქვი!

გუნდი  
მერე ვინ იყო?

აგავე  
კადმოსის...

გუნდი  
რაო, კადმოსის?

აგავე  
ასულებმა

ჩემს შემდეგ, ჩემს შემდეგ  
დასცეს ნადირი.

გუნდი  
გწევია ბედი!

აგავე  
მოდით, ვილხინოთ!

გუნდი  
რა გალხენს, ბედკრულო!

აგავე  
ჯერეთ ჩვილია ეს ბოკვერი,

ლაწვები ღინღლით დაფარვია,



ახლახან მოზრდია ფაფუკი ფაფარი.

გ უ ნ დ ი

ფაფარი ტყიურისას მიუგავს.

ა გ ა ვ ე

1180

ბაკხოსმა, მარჯვე მონადირემ,

მარჯვედ მიუსია

მის კვალს მენადები!

გ უ ნ დ ი

ჭეშმარიტად, ნადირთ ბატონია!

ა გ ა ვ ე

მადიდებ?

გ უ ნ დ ი

არ გადილო?

ა გ ა ვ ე

მალე ძენიც კადმოსისა...

გ უ ნ დ ი

და პენტეესი...

ა გ ა ვ ე

დედას განადიდებს.

გ უ ნ დ ი

მომნადირებელს...

ა გ ა ვ ე

ლომის ბოკვერისას...

გ უ ნ დ ი

უცნაურის...

ა გ ა ვ ე

უცნაურად.

გ უ ნ დ ი

ამაყობ, განა?

ა გ ა ვ ე

მახარებს დიდად

1190

საქმე დიადი, დიადი, ბრწყინვალე...

გ უ ნ დ ი

ჭვეყნის სადიდებლად.

გუნდის წინამძღოლი  
მაშ, ახილვინე, უბედურო, ქალაქის მკვიდრთა  
შენი ნადავლი, მთებიდან რომ მოგიტანია.

აგავე

პე, მკვიდრნო ტურფაგოდლებიან ქალაქისანო,  
მოდით, იხილეთ საოცარი ნანადირევი!  
ბერი კადმოსის ასულებმა მოვიწადირეთ —  
განა თუ გვქონდა სათხედები თესალიელთა,  
ანუ ბადენი სათხეველნი, წვერმახი შუბი!  
რას ვაქნევთ რკინას, მოელვარეს და მტკიცედ ნაჭედს,  
1200 თეთრი ხელებით შევიპყართ მბრღლეინავი მხეცი  
და ასო-ასო, წილობებად ჩამოვირიგეთ.  
მაგრამ... სად არის მამაჩემი, ბერი კადმოსი?  
ახლოს მოვიდეს, მიეგებოს გულოვან ასულს.  
ან შენ სადა ხარ, შვილო ჩემო? მიადგი კიბე  
კედელს და მაგრად მიაჭედე ეს თავრიელი  
სასახლის შუბლზე — ნიშნად ჩვენი გამარჯვებისა.  
(შემოდის კადმოსი)

კადმოსი

უკან მომყევით, მაგ საბრალო მსხვერპლის  
მტვირთველნო,  
აქ დაასვენეთ, სასახლის წინ, პენთევსის ნეშტი,  
დიდხანს რომ ვძებნეთ ორწოხებში კითერონისა  
1210 და შევავროვეთ ასო-ასო მიმოფანტული.  
მაშინ შევიტყვეთ საზარელი ამბავი ესე —  
რა მოვადექით შვიდბჭიანი ქალაქის ზღუდეს  
მე და მისანი ტირესია, ნაბაკხურევენი;  
უმაღლესი გავბრუნდი მთებისაკენ და წამოვიღე  
ბაკხების ხელით დაგლეჯილი შვილის ცხეღარი.  
იქ დავინახე ავტონოე, ვინც არისტოსს  
უშვა ბედკრული აკტეონი, ინოც იქ იყო,  
ტყე-ტყე დაძრწოდნენ დახელთილნი და დანესტრილნი.  
აგავეზე თქვეს, დასტოვაო დიაცთა დასი  
1220 და სასახლისკენ გაიჭრაო ბაკხური რბოლით.  
(შეამჩნევს აგავეს)

მართალი უთქვამთ, — აგავეა, არ მტყუნობს თვალი.  
ჰოი, ბედკრულო, არ მენახე ნეტამც აროდეს!

ა გ ა ვ ე

მაშ იამაყე, მამაჩემო, და გიხაროდეს,  
უშაპცესი ასულები რომ გიშობია.  
მე ჩემზე გეტყვი უპირატეს, ვინც საჩეჩელი  
შოჩა მოვისროლე და ფარტენა ქარს გავატანე;  
ვიცაღე ზნენი დიაცურნი და ხელით ვიჭერ  
გაბეულ ნადირს. აჰა, ჯილდო სიმამაცის წილ!  
შენი სასახლის ტრიგლიფებზე ეკიდოს იგი!

- 1230 შეაღე ხელი, მამაჩემო, და იამაყე,  
ლხინად შეჰყარე მეგობრები, რომ ყველამ ნახოს  
შენი ასულის საკვირველი ნანადირევი.  
ნეტარ ხარ, ნეტარ. მამაჩემო, მოკვდავთა შორის!

კ ა დ მ ო ს ი

ვაი ჩვენდა, სვედაესილოთ, ბედუკულმართთ!  
ვაი საქმეს, საწყალობელ ხელით აღსრულებულს!  
კარგი მსხვერპლი შეგიწირავს ღმერთებისად,  
ახლა თებეს სანადიმოდ იწვევ?

- ვაი. სახლო ჩვენო, უკულმართად ნაშენო!..  
1240 ჯერ შენ დაგტირი, ასულ უბედურს,  
მერე ჩემს თავს, საბრალობელს დაგტირი.  
ღირსად მოგვაგო შური ბრომიოსმა,  
დაგაატყდა რისხვა ჩვენივე ღვიძლისა!

ა გ ა ვ ე

რარე გვიწამლავს სიხალისეს კრული სიბერე,  
აგვაწუნუნებს, მცინარ სახეს ჩამოგვიტირებს!  
პენტევისი მაინც მიჰყვებოდეს ნაკვალევს ჩემსას,  
ფეხბედნიერი მონადირე შეიქნებოდეს!  
მაგრამ ვაი, რომ ღმერთთან ბრძოლას უნდებო მხოლოდ...  
შენს მტეი ვინ ჰყავს, მამაჩემო, შემგონებელი?

- 1250 რად არ გამოჩნდა, დედას რად არ გამომეგება,  
რათა ეხილა, რა იღბალი დამეცა თავზე.

კ ა დ მ ო ს ი

ვაი, თქვენ, ბედშავთ! რომ შეგეძლოთ — გადიხალისოთ

შეშლილი გონი, აიტანდიო მწარე სატანჯველს?  
უკეთუ დარჩით უცნობელნი, როგორც ახლა ხართ,  
ეს იქნებოდა ერთადერთი ნუგეში თქვენი.

აგავე

რა სატანჯველი, მამაჩემო, რისი ნუგეში?

კადმოსი

ჯერ მალლა, ცისკენ მიმართე მზერა.

აგავე

აჰა, მივმართე... გარნა რად მიბრძანე?

კადმოსი

ცა იგივეა? თუ ფერნაცვალი მოგეჩვენა?

აგავე

1260 უწინდელზე უფრო ბრწყინვალეებს შეუქთა

მთოველი...

კადმოსი

ნუთუ გახლება არ გაგინელდა?

აგავე

გამინელდაო?... ამას რად ამბობ?

ჰო, თითქოს ცნობას მოვდიოდე...

კადმოსი

თუ ძალგის მომისმინო, მიპასუხო?

აგავე

რას ვამბობდით, მამავ, დამავიწყდა.

კადმოსი

ვის სახლში შეხველ, თუ გახსოვს, ჰიმენეს სიმღერით?

აგავე

ექიონს არ მიმეც, დრაკონის დანათესს?

კადმოსი

იმ სახლში ქმარს შენსას ვინ უშევ, თუ გახსოვს?

აგავე

პენტევისი განა ჩვენი პირმშო არ იყო?

კადმოსი

1270 ეგ ვისი თავია, ხელში რომ გიჭირავს?

აგავე

ლომისაა... მენადებმა არ შითხრეს?

კ ა დ მ ო ს ი  
 კარგად დახედე, წამის საქმეა...  
 ა გ ა ვ ე  
 ვაი, რას ვხედავ! ხელთ რა მიჭირავს?  
 კ ა დ მ ო ს ი  
 კარგად დააკვირდი, მიხვდები...  
 ა გ ა ვ ე  
 მივხვდი, მივხვდი... დავლუპულვარ ბედკრული!  
 კ ა დ მ ო ს ი  
 კიდევ გეჩვენება ლომის თავად? თუ...  
 ა გ ა ვ ე  
 არა, პენტევისის თავი მიპყრავ უბედურს!  
 კ ა დ მ ო ს ი  
 უმალ დატირებული, სანამ მიხვდებოდი, აგავე...  
 ა გ ა ვ ე  
 ვის მოუკლავს? ვინ მომცა ხელთ?  
 კ ა დ მ ო ს ი  
 1280 ო, სიმართლევ შემზარავო! რა გვიან გაცხადდი!  
 ა გ ა ვ ე  
 მითხარი, მითხარი! სული ვერ ითმენს...  
 კ ა დ მ ო ს ი  
 შენ მოჰკალ, დანი შენნი გშველოდნენ...  
 ა გ ა ვ ე  
 სად? სასახლეში... თუ  
 კ ა დ მ ო ს ი  
 სადაც აკტეონი ძაღლებმა დაგლიჯეს.  
 ა გ ა ვ ე  
 რათ წავიდა კითერონს საბრალო?  
 კ ა დ მ ო ს ი  
 ღმერთისა და შენი მენადების დაააცინად.  
 ა გ ა ვ ე  
 ჩვენ რალამ წაგვიყვანა კითერონს?  
 კ ა დ მ ო ს ი  
 შეიშალენით, ბაცხოსმა დაგხელთათ...

აგავე

ახალა მივხვდი. გაგვწირა დიონისემ:

კადმოსი

1290 არ აღიარეთ, ღმერთად არ სცანით.

აგავე

სად არის ნეშტი, მამაჩემო, ნეშტი ძვირფასი...

კადმოსი

ძლივს შევკრიბე ასონი და, პა, მოვიტანე.

აგავე

ასო ასოს თუ მიუსადაგე?

კადმოსი

(მივუსადაგე, გარნა თავი...)\*

აგავე

პენტევესს ჩემი ბრალი რად მოეკითხა?

კადმოსი

ერთად შესცოდეთ, შეუგინეთ ბაკხევსს პატივი,  
ცილი დასწამეთ — ამიტომაც დაგსაჯათ ღმერთმა.

არა მარტო თქვენ, დაიღუპა დღეს ჩემი სახლი,  
მომერღვა ფუძე, უმემკვიდროდ გადაშენებულს

1300 რა დამრჩენია გლოვის მეტი: დაეტირი პენტევესს —  
მოკლულს, დაგლეჯილს მისიანთა ბრალეულ ხელით.

ჩემი სასახლის ბურჯი იყავ, ჩემო მემკვიდრეც,  
ქალაქის რისხვა და სიბერის ჩემის ქომაგი!

ვინ გაბედავდა, გაელანძლა ჩემი ჭალარა,  
თუკი შენ მახლდი ბასილევსის ტახტზე მჯდომარე!

აწ სასახლიდან უპატიოდ განვიღვევებ

დიდი კადმოსი, ვინც დათევსა თებელთა თესლი  
და სანუკვარი მოსავალი რომ მოიწია.

(მიმართავს პენტევესის ნეშტს)

უძვირფასესო კაცთა შორის, თუმც აღარა ხარ,


1310 მაინც ძვირფასად დაიმარხვის შენი სახელი!

ნუთუ ნიკაპზე ხელს კვლავ აღარ მომითათუნებ?

აღარ ჩამიკრავ პაპას მკერდში, კვლავ აღარ მკითხავ —

ვინ გაწყენინა, უპატიო ვინ გყო მოხუცი?

\* ხარვეზი აღდგენილია ვარაუდით.



ვინ შეგაწუხა, მითხარ, გული ვინ აგიმღვრია,  
რომ საკადრისად გაეუხსწორდე შენს მაგინებელს?  
აწ ვინ დამიცავს, დავრჩენილვარ უმწედ, უნუგემ...  
ბრალი დედაშენს, საწყალობელს, ბრალი დებს მისას!  
შეხედეთ, ხალხო, თუ ვინმე ხართ ღმერთის მგმობელი,  
ნახეთ სიკვდილი ესეგვარი და შეინანეთ!

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

1320 მებრალვი, კადმოს, უბრალო ხარ ამ სატანჯველში.  
გარნა შენს მოდგმას, დამნაშავეს, ღირსად მიეზღო.

ა გ ა ვ ე

ო, რა სასტიკად დატრიალდა ბედის ბორბალი!

(დაკარგულ ნაწილში სავარაუდებელია: აგავეს გლოვა შეილის  
გამო, ქოროს სიტყვები, რითაც იგი ამცნობს დიონისეს გამოცხა-  
ლებას აწ უკვე ღვთაებრივი სახით, დიონისეს სიტყვის დასაწყისი—  
აგავესა და მისი დების თებედან განდევნის განაჩენი)

დ ი ო ნ ი ს ე

(მიმართავს კადმოსს)

თავად ურჩხულად გადიქცევი და შენი ცოლიც —  
არესის შვილი ჰარმონია, უკვდავი ქალი,  
მოკვდავმა კაცმა რომ შეირთე, შეიცვლის სახეს:  
გველადქცეული წამოგყვება, სადაც კი წახვალ;  
შეაბამ ურემს — ასეთია ნება ზევსისა —  
უცხო ურდოებს წინამძღოლად მოევლინები;  
უშქარი ლაშქრით დაარბევენ უამრავ ქალაქს,  
1330 გარნა, დაბოლოს, წაერთმევათ დღე დაბრუნების,  
რაკი აპოლონს დაუნგრევენ წმიდა სამისნოს.  
არესი გიხსნით თქვენ ორთავეს და ნეტარ ქვეყნად  
დაგიმკვიდრდებათ უზრუნველი და მშვიდი ყოფა.  
მე, დიონისე, გეუბნებით ზევსის განაჩენს,  
კრონიონის ძე, არა მოკვდავ კაცის ნაშობი.  
და რომ შეგეგნოთ იგი სიბრძნე, რაც უარყავით,  
ზევისს წყალობით მოიხვეჭდით კეთილდღეობას,  
მეც — დიონისე თანამდგომად გეყოლებოდით.



ა გ ა ვ ე

ო, დიონისევ, გვედრები, ნუ გაგვწირავ!

დიონისე

1340 კმარა! გვიან არს სინანული, გვიან მიცანით.

ა გ ა ვ ე

ეს ვიცით, გარნა... სასტიკია შენი სასჯელი.

დიონისე

დამგმეთ, შემაგინეთ უკვდავი...

ა გ ა ვ ე

სასტიკებაში რად გვბაძავთ უკვდავნი?

დიონისე

ასე დაადგინა ზევსმა დასაბამით.

ა გ ა ვ ე

ვაი, აღსრულდა, მამავ, ვიდევნებით!

დიონისე

რალად აგვიანებთ? მოსახდენი მოხდეს!

(გადის)

კ ა დ მ ო ს ი

ო, შვილო ჩემო, რა საშინელ ბოლოს ვეწიეთ!

გაუბედურდა ჩემი მოდგმა და დანათესი.

ვაიმე ბედკრულს! უცხო თემად უნდა ვიარო

1350 მოხუცმა მსხემმა. დამიდგინეს ღმერთებმა ისევ,

რომ ელადაში უცხოთესლი შემოვიყვანო,

და ჰარმონიას, ჩემს მეუღლეს — არესის ასულს,

ურჩხულად ქცეულს მე, ურჩხულმა, დავარბევინო

ელინთა ძველი საფლავები და საწმიდარნი.....

აწ ვერასოდეს მოვისვენებ ამ წუთისოფლად,

და ვერცა წყალნი ლეთესანი დამამშვიდებენ.

ა გ ა ვ ე

შენგან მოწყვეტილს, მამაჩემო, მეც ხომ მომკვეთენ!

კ ა დ მ ო ს ი

ასულო ჩემო, უბედურო, ხელებს რად მიწვდი,

ვით თეთრი გედი, უსუსური, უმწეო პატრონს?

1360 საით მივიქცე <sup>აგავე</sup> განდევნილი მშობელ ქვეყნიდან?  
<sup>კაღმოსი</sup>  
არ ვიცი, შვილო, მამაშენი ველარ გიშველის.

<sup>აგავე</sup>  
მშვიდობით სახლო მშობლიურო,  
მშვიდობით თებევ შვიდბჭიანო!  
კერიიდან დევნილი გეთხოვები!

<sup>კაღმოსი</sup>  
არისტოსთან\* წახვალ, შვილო...

<sup>აგავე</sup>  
მებრალვი, მამავ!..

<sup>კაღმოსი</sup>  
მეც, შვილო ჩემო!  
შენს დებს დავტირი, სვეუბედურთ...

<sup>აგავე</sup>  
მწარე სატანჯველი, მწარე  
დაატეხა შენს მოდგმას  
1370 დიონისე მეუფემ, მამაჩემო!...

<sup>კაღმოსი</sup>  
მწარედ შეიგინა თქვენგან, მწარედ  
თებე-ქალაქში მისი სახელი...

<sup>აგავე</sup>  
მშვიდობით, მამავ...

<sup>კაღმოსი</sup>  
მშვიდობით, შვილო...  
თუკი მშვიდობა გიწერია სადმე...

<sup>აგავე</sup>  
წამიყვანეთ, მეგზურნო, წამიყვანეთ,  
რათა შევეერთო დათა ჩემთა  
თანადევნილთ, საბრალობელთ!..  
მომაშორეთ საქულველ კითერონს,  
დაე, კითერონი თვალით ნუ ვიხილო!

---

\* აგავეს დის, ავტონოეს, ქმარი.

1380 გადამკარგეთ, თირსო დამავიწყეთ,  
თიასებში სხვებმა გაიხარონ!

გ უ ნ დ ი

მრავალგზით ცხადდება ღმერთების ნება,  
მრავალგზით ცუდდება კაცთა მოლოდინი.  
რასაც მოველით, არ აგვიხდება,  
რასაც არ მოველით, მოგვივლენს ღმერთი.  
ამგვარად დაარულდა ამბავი ესე.